# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 30 სექტემბერი 1998 №175 (710) ფასი 50 თეთრი

# დინამო 0
# ვილემ II 3

## ვაი, სირცხვილო!
## ეს არის ქართული ფეხბურთი?!

იხილეთ მეორე გვერდი

## გიორგი კანდელაკი 11 ოქტომბერს პროფესიულ რინგზე გვეპატიჟება

### ოღონდ, ძალიან ვღელავ, შინ პირველად ვჩხუბობო

გუშინ თბილისის აეროპორტში გიორგი კანდელაკს მისი ოჯახის წევრები, უამრავი ნაცნობ-მეგობარი და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები ველოდით. ვარიანელმა მოკრივემ ამერიკაში, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ანკესვილში პროფესიულ რინგზე მეორედ იჩხუბა და იმარჯვა კიდეც. მილოცვებისა და მონატრებული ჯალაბობის მოკითხვის მერე გიორგიმ ჩვენთვისაც მოიცალა და, როგორც ყოველთვის, კითხვებზეც სიამოვნებით გვიპასუხა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



## გამარჯვებებით დავიწყეთ...

როგორც იქნა, ელისტის ოლიმპიადაზე ჭადრაკის თამაშსაც დაადგა საშველი და გუშინ I ტურის შეხვედრები გაიმართა. ჩვენებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად დაიწყეს. ეს განსაკუთრებით ითქმის ვაჟთა ნაკრებზე, რომელმაც ლუქსემბურგელები შემუსრა და ნახევარი ქულაც მხოლოდ სანუგეშოდ დაუთმო. თავიანთი პარტიები მოიგეს აზმაიფარაშვილმა, სტურუამ და ბაღათუროვმა, სუპატაშვილმა კი ყაიმით დაასრულა. ქალები ფინელებს ეთამაშნენ და ნაკლებად შთამბეჭდავი ანგარიშით სძლიეს — 2:1. ორი პარტია ყაიმით დასრულდა და ჩვენებს მხოლოდ მაია ჩიბურდანიძის მოგებამ გაამარჯვებინა.

II ტური დღეს გაიმართება.



## ბაგრატიონი ძალიან გაგვიბრაზეს

იმ ქართულ კინოკომედიაში კახელი დედაკაცისგან კოლმეურნეობის თავმჯდომარის ასეთი შეფასება გაგვახსენდა და აგვეკვიატა, როცა ავსტრალიის საელჩოს საემიგრაციო სამსახურის უფროსი კოორდინატორის ბატონ მაკ გოვენის ხელმოწერით გამოგზავნილი ფაქსი წავიკითხეთ.

მართლაც, სად კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სად ეს პატივცემული ავსტრალიელი გვამიო, შეიცხადებს მკითხველი, მაგრამ მაკ გოვენს კახელი დედაკაცი თუ არა, მეგრელი რუსუდან ხოფერია ალბათ ასე ახასიათებს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი
საპასუხო მატჩები. 29 სექტემბერი

UEFA CUP

სოსიედადი (ესპანეთი) — სპარტა (ჩეხეთი) 1:0 (4:2)
1:0 კოვაჩევიჩი (52)

პარმა (იტალია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 3:1 (0:1)
1:0 საფეტი (23ს.კ), 2:0 კრესპო (45), 2:1 ბალიჩი (59), 3:1 ბოგოსიანი (73)

ლიონი (საფრანგეთი) — ბლექბერნი (ინგლისი) 2:2 (1:0)
1:0 კაველია (3), 1:1 პერესი (26), 2:1 გრასი (36პ), 2:2 ფლიტკროფტი (56)

სკონტო (ლატვია) — დინამო (რუსეთი) 2:3 (2:2)
0:1 გუსევი (17), 0:2 გოლოვსკოი (60), 1:2 პახარსი (75), 1:3 ტერიოხინი (76), 2:3 პახარსი (89)

სელტიკი (შოტლანდია) — გიმარაეში (პორტუგალია) 2:1 (2:1)
1:0 სტაბსი (38), 1:1 სოდერსტრიომი (87), 2:1 ლარსონი (90)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) — შტუტგარტი (გერმანია) 0:3 (3:1)
0:1 ბალაკოვი (35), 0:2 ჯორჯევიჩი (70), 0:3 ბობიჩი (90)

სელტა (ესპანეთი) — არჯეში (რუმინეთი) 7:0 (1:0)
1:0, 2:0 პენევი (6, 13), 3:0 მაზინიო (16), 4:0 პენევი (26), 5:0 სანჩესი (82), 6:0, 7:0 ალბერტო (87, 90)

რომა (იტალია) — სილკებორგი (დანია) 1:0 (2:0)
1:0 დელვეკიო (52)

მონაკო (საფრანგეთი) — ლკს (პოლონეთი) 0:0 (3:1)

გრაცერი (ავსტრია) — ლიტექსი (ბულგარეთი) 2:0 (1:1)
1:0 გოლომბეკი (8), 2:0 აკვეკბუ (82)

ჰაიდუკი (ხორვატია) — ფიორენტინა (იტალია) 0:0 (1:2)

სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) — ასტონ ვილა (ინგლისი) 0:3 (2:3)
0:1, 0:2, 0:3 კოლიმორი (10, 23, 64)

სლავია (ჩეხეთი) — შალკე (გერმანია) 1:0, 5:4პ (0:1)
1:0 დოსტალეკი (17)

ცსკა (ბულგარეთი) — სერვეტი (შვეიცარია) 1:0 (1:2)
1:0 სტანჩევი (10)

მეცი (საფრანგეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 2:1, 3:4პ. (1:2)
0:1 მაჰროვიჩი (18), 1:1 კასტენდეში (38), 2:1 მეირე (68პ)

ლივერპული (ინგლისი) — კოშიცე (სლოვაკეთი) 5:0 (3:0)
1:0 რედნაპი (23), 2:0 ინსი (52), 3:0 ფაულერი (53), 4:0 რედნაპი (55), 5:0 ფაულერი (90)

ბოლონია (იტალია) — სპორტინგი (პორტუგალია) 2:1 (2:0)
0:1 ლეანდრო (65), 1:1 ნერვო (78), 2:1 სინიორი (90პ)

ვისლა (პოლონეთი) — მარიბორი (სლოვენია) 3:0 (2:0)
1:0 ზაიაცი (85, 89), 3:0 კულავიკი (90)

ბეტისი (ესპანეთი) — ვეილე (დანია) 5:0 (0:1)
1:0, 2:0 პერესი (1, 20), 3:0 ფინიდი (71), 4:0 გალვესი (74), 5:0 პერესი (90)

რაპიდი (ავსტრია) — ბორდო (საფრანგეთი) 1:2 (1:1)
0:1 ალიკარტე (28), 1:1 ვაგნერი (42), 1:2 დიაბატი (87)

ობილიჩი (იუგოსლავია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 0:1 (0:2)
0:1 კიკო (55)

მარიტიმუ (პორტუგალია) — ლიდსი (ინგლისი) 1:0, 1:4პ (0:1)
1:0 სუარეში (45)

ლევერკუზენი (გერმანია) — უდინეზე (იტალია) 1:0 (1:1)
1:0 ბაინლიხი (77)

ვალენსია (ესპანეთი) — სტიაუა (რუმინეთი) 3:0 (4:3)
1:0 როშე (52), 2:0 ლოპესი (56), 3:0 ლუკარელი (89)

ანორთოსისი (კვიპროსი) — ციურიხი (შვეიცარია) 2:3 (0:4)
0:1 სანტანა (12), 0:2 ბარტლეტი (38), 1:2 ფიშერი (45ს.კ.), 1:3 ბარტლეტი (62), 2:3 კრჩმარევიჩი (73)

ბრიუგე (ბელგია) — უიპეშტი (უნგრეთი) 2:2 (5:0)
1:0 ბორკელმანსი (32), 1:1 კოპუნოვიჩი (50), 2:1 ვერმანტი (70), 2:2 სჟანიო (90პ)

აეკ (საბერძნეთი) — ვიტესი (ჰოლანდია) 3:3 (0:3)
0:1 მახლასი (11), 1:1 ნიკოლაიდისი (14), 1:2 მახლასი (17), 1:3 როიზერი (51), 2:3 კოპიცისი (68), 3:3 ნიკოლაიდისი (76)

ვერდერი (გერმანია) — ბრანი (ნორვეგია) 4:0დ.დ. (0:2)
1:0 ვიკი (33), 2:0 ვიედენერი (70), 3:0 მაქსიმოვი (101), 4:0 ფლო (110)

მარსელი (საფრანგეთი) — სიგმა (ჩეხეთი) 4:0 (2:2)
1:0 დუგარი (19), 2:0 პირესი (23), 3:0 დუგარი (76), 4:0 პირესი (86)

გრასჰოპერი (შვეიცარია) — ანდერლეხტი (ბელგია) 0:0 (2:0)



REUTERS ბელგრადიდან

ობილიჩი — ატლეტიკო. იუგოსლაველმა მცველებმა კიკო ნარვაესი (№19) ბევრი კი ათრიეს, მაგრამ მან მაინც გაიტანა

# შუბლის ძარღვი განწყვეტილი გაქვთ?

**უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩი.**
**29 სექტემბერი. თბილისი. ეროვნული. 25 000 მაყურებელი**

## დინამო 0:3 ვილემ II

0:1 ვალკი (19), 0:2 სესაი (81), 0:3 რამზი (89)

ძოზა ინასარიძე

მატჩი ხუთი წუთის დამთავრებული იყო. გასახდელის საშხაპეში, ეტყობა, ცხელი წყალი არ მოდიოდა. დინამოელებმა ჩანთებს ხელი დაავლეს და ავტობუსს მოაშურეს... მერე ვინანე, აქ რატომ შევყოვნდი, ხომ სჯობდა, გზა გამეგრძელებინა-მეთქი. იქვე, „დინამოს“ ავტობუსიდან სამიოდ მეტრის მოშორებით ვიდექი. ომონელებს ჯაჭვის შეკვრა დააგვიანდათ. გულშემატკივრებიც იქვე იყვნენ. უცებ ღრიალი მომესმა, ფეხბურთელებს ხელები თავზე შემოეწყოთ, ზოგიერთმა სახის დასამალად სპორტული სამოსი მოიშველია. ჩქარა, ჩქარა, ამათ ჩაქოლავენ, გაისმა უცხო ხმა. პოლიციის საგანგებო რაზმი გამოფხიზლდა, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და გაგულისებულ მასას რამდენიმე მეტრით უკან დაახევინეს. არც ამან გაჭრა, ფეხბურთელებამდე გულშემატკივრებს ხელი აღარ მიუწვდებოდათ, მაგრამ იყო პლასტმასის ქილები, ქვები, ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ... რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიცია უფრო გააქტიურდა, თავად განსაჯეთ, მდგომარეობა ისე დაიძაბა, ძალოვანებმა ხალხს სტადიონის ტერიტორიის მთლიანად დაცარიელება სთხოვეს. ქომაგებმა ამჯერად თავი სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან მოიყარეს — ისინი „დინამოს“ ელოდნენ. გუნდი კი არ ჩანდა. გავიდა ოცი წუთი. სტადიონის ზღურბლი ტილბურგის „ვილემ II“-ის ავტობუსმა გადმოკვეთა. ხალხმა ხელები აღმართა, ტაშით შეეგებნენ, რას გერჩით, დამსახურებულად გაიმარჯვეთო. კიდევ ხუთი წუთი მიილია, აქამდე გადანათებული ცაბაძის ქუჩა მოულოდნელად ჩაბნელდა, ლამპიონები ჩაქრა, რამდენიმე წამით წყვდიადმა დაისადგურა. ჭიშკარს მიღმა სპეცდანიშნულების რაზმის ავტობუსები გამოჩნდა, დაწყნარდით, დაწყნარდით, ნუ ხულიგნობთ — გაისმა მეგაფონებიდან. მერე რაზმმა მუსკომედიის შენობამდე ნელი სვლით იარა, ცდილობდნენ, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი დაემალათ. ქომაგები ასე იოლად იქაურობას არ დატოვებდნენ. ტროტუარზე ავიდნენ. სტადიონის ტერიტორიაზე „კანარეიკის“ ფერადი შუქი აინთო. მანქანის უკან ავტობუსი გამოჩნდა. მძღოლებმა სვლას აუჩქარეს, ავტობუსი უკვე ცაბაძის ქუჩაზეა. გაისმა გინება. დაიწყო... ყოველივეს უსაყვარლესი კლუბის ქომაგნი სჩადიან, გუნდი ლაფში ამოსვარეს... იგივე სცენა, ბოთლები, ქვები, ნაფოტები. კიდევ ბევრი სხვა რამ, რომელთა მისამართი ერთია — „დინამოს“ ახალშეძენილი ავტობუსი. ესკორტი სწრაფად დაეშვა სანაპიროზე. ცაბაძის ქუჩის დაახლოებით 50-მეტრიანი მონაკვეთი ნაფრონტალს დაემსგავსა. ავტობუსის სალონიც ჩაბნელებული იყო. ფეხბურთელებს საკუთარი გულშემატკივრებისა რცხვენოდათ. ასე დამთავრდა ნახევარსაათიანი ეპიზოდი ქართველ ქომაგთა ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში ეროვნული სტადიონის ახლომახლო.

ორიოდ წუთის წინ რედაქციაში ტელეფონის ზარი გაისმა. ერთი აღშფოთებული კაცი რეკავდა, ხალხი პუშკინის სკვერშია შეკრებილი, ძალიან გთხოვთ, აქ მობრძანდითო.

მორჩა, მოთმინების ფიალა აივსო. ხალხს აღარ შეუძლია. ყველანი დავიღალეთ. და ყველაზე სასაცილო ისაა, მავანნი ისევ ჩვენ მოგვდგებიან, რაებს წერთ, მოვლენებს ობიექტურად არ ასახავთო. ნებისმიერმა გულზე ხელი დაიდოს, მან, ვინც გუშინდელ მატჩისშემდგომ ამბებს შეესწრო და თქვას, ზემოთ ნათქვამი გადაჭარბებულიაო. ეს იყო ფაქტი, ისეთივე როგორც...

უსახელო ჰოლანდიურმა კლუბმა „ვილემ II“-მ საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ უმოწყალოდ გადათელა, მიწასთან გაასწორა, გაასწორა „დინამო“ და მთელი ქართული ფეხბურთი.

გუშინ რვის ნახევარზე ეროვნულ სტადიონზე მატჩი კი არა, საშინელება დაიწყო, საშინელება და კოშმარი.

დღევანდელმა თბილისის „დინამომ“ ფეხბურთის თამაში არ იცის. მათთვის არ უსწავლებიათ, სტუმრად 0:3 რომ წააგებს, საპასუხო მატჩისთვის მეტოქეს როგორ უნდა დაუხვდეს... ფეხბურთელებისთვის, ეტყობა, მწვრთნელს არ უთქვამს, როცა შინ 0:1 აგებ, 33-ე წუთზე საკუთარი კარის მახლობლად დანიშნული ჯარიმისას თერთმეტივე ფეხბურთელი კარს არ უნდა იცავდეს... როცა მეტოქეს უტევ, გოლის გასატანად კუთხურის დროს საჯარიმოში სამ კაცზე მეტი უნდა იდგეს, მით უმეტეს, სამი ბურთი გაქვს გასაბათილებელი. არც ის ჩანდა, რომ „დინამოს“ ნახევარმცველები დაერიგებინათ, ხომერიკის მისამართით მაღალ ბურთებს ნუ გაგზავნით, ჰიიპია და ჰილი მას ზემოდან დაჰყურებენო.

და მაინც, მწვრთნელს რაც არ უნდა ეთქვა, ფეხბურთელი იმიტომ ხარ, ხალხი იმიტომ გქომაგობს, რომ მოედანზე თავი დადო, ძალ-ღონე არ დაზოგო და სამბურთიან სხვაობას თუ ვერ გააქარწყლებ, ვაჟკაცურად მაინც იბრძოლო, სამარცხვინოდ არ წააგო.

ბიჭებო, ფეხბურთელებო, ერთს გეტყვით — ნუ მოგვიტრიალდებით, აღარ გვითხრათ, უსამართლოდ გვაკრიტიკებთ, კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ, ვალკს რომ მე-19 წუთზე ჩვენთვის გოლი არ შეეგდო, ნახავდით ტილბრუგელებს რა დღეს ვაყრიდით, ანაც 47-ე წუთზე ხომერიკს რომ გაეტანა, შემდეგ ეტაპზე გასვლის რა გითხრათ, მაგრამ ნაღდად მოვიგებდითო. ბიჭებო, თქვენ ქათინაური არ დაგკლებიათ, ტკბილი სიტყვა არასოდეს დაგვიშურებია, მაგრამ დღეს პირდაპირ გეტყვით — თქვენ შეარცხვინეთ ქვეყანა, გუშინ არაფერი გაგიკეთებიათ სასურველი შედეგის მისაღწევად, თქვენ ხალხი აბუჩად აიგდეთ და ხმა აღარ ამოიღოთ, ნურც ქომაგების ქცევაზე განაწყენდებით — ერთგული გულშემატკივრებისგან მიიღეთ ის, რასაც იმსახურებდით.

გუშინდელის მსგავსი თბილისში არ მომხდარა. ერთი საქართველო — ინგლისის შესარჩევი მატჩი იყო, როცა მაყურებლებმა ბოთლების სროლით გამოხატეს პროტესტი ჩვენების უსუსური თამაშის გამო და მეორე — გუშინ. ასეთი რამ იშვიათად სადმე მოხდეს, გულშემატკივარი საკუთარ გუნდს არ გაიმეტებს, თუ უპატივცემულობა არ დაინახა.

ბიჭებო, ნურც იმას იტყვით, არ გვქომაგობდნენო. ნუთუ არ გესმოდათ გამამხნევებელი შეძახილები — „დინამო“, „დინამო“, „გოლი“, „გოლი“? არც ის ხმა გაგიგიათ, თქვენს იერიშისმაგვარს რომ ერთვოდა? ქომაგებმა ხომ კინაღამ დალეწეს ახალდამონტაჟებული სკამები. თქვენ ყველაფერი გესმოდათ, გრძნობდით, ხალხი თქვენთან იყო, მიუხედავად ტილბურგში დიდი ანგარიშით წაგებისა, მაგრამ...

უსახელო, უტიტულო, საშუალო დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ, მაგრამ ჭკვიანურად მოთამაშე ტილბურგელებთან დიდი სირცხვილი ჭამეთ, რის ჩამორეცხვასაც კარგა ხანს მოუნდებით, ან ჩამოირეცხავთ კი?

გუშინდელი მატჩის ფირი უეჭველად გექნებათ, დინამოელებო. ჰოდა, ეკრანს კარგად დააკვირდით, თამაშის 68-ე წუთი რომ დაიწყება. მერე კი საათს მაშინ დახედეთ, როცა 68-ე წუთის შემდეგ ბურთს პირველად შეეხებით. ეს 71-ე წუთზე იყო — დიახ, თქვენ სამი წუთი ბურთს არ შეხებიხართ. თანაც ანგარიში 0:1 იყო.

ისიც დათვალეთ, მთელი მატჩის მანძილზე რამდენჯერ დაემუქრეთ რეალურად მეტოქის კარს.

თქვენ ბილბაოს „ატლეტიკთან“ წაგებული 0:1-ის შემდეგ გაყოყოჩდით, ცაში დაფრინავდით, გეგონათ, „ვილემ II“-ს გადაუვლიდით, პირიქით კი მოხდა. თავს ნუღარ გაიმართლებთ, იმიტომ, რომ ეს უარესი იქნება — ცეცხლზე ნავთის დასხმა. სათქმელიც არაფერი გაქვთ.

და ერთიც. მურთაზ ხურცილავა რომ ამბობს, ასეთი კონტინგენტით ვერაფერსაც ვერ მივაღწევთ, ევროპას ძალიან ჩამოვრჩებითო, პასუხად ვიტყვით: მაშინ აღარ ვითამაშოთ საერთაშორისო მატჩები. სირცხვილი არ გვინდა, ჩვენ თავმოყვარენი ვართ. ჩავიკეტოთ შინ, ჯერ ერთმანეთში თამაში ვისწავლოთ და როცა შევატყობთ, რაიმეს მივაღწიეთ, მერე შევაღოთ უეფას კარი. სირცხვილსა და თავის მოჭრას მაინც გადავურჩებით. არგუმენტად ის არ გამოდგება, თქვათ, ევროტურნირებზე თამაში გამოცდილებას გვმატებსო, გაიხსენეთ „ტიროლი“, „ბოავიშტა“, „ბაიერი“, „ბრაგა“, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვთ? ეს „დინამოსაც“ ეხება და ევროპის საკლუბო ტურნირში ნათამაშევ ყველა ქართულ გუნდს.

ძველი არ გვქონდა დავიწყებული, რომ „ვილემ II“-მ გაგვათახსირა. გუშინ ეროვნულ სტადიონზე კოშმარი და საშინელება, ანტიფეხბურთზე უარესი თუ რამ შეიძლება იყოს, ის ვნახეთ თბილისის „დინამოს“ შესრულებით.

### მატჩის შემდეგ

*რატი ალექსიძე:* ძნელია რაიმეს თქმა, ან კი რა უნდა ვთქვა. უბრალოდ, ერთი თავით მაღლა იდგნენ ჩვენზე — შედეგიც შესაბამისია.

*ვალტერ გუჩუა:* საკმაოდ ძლიერი გუნდია. ალბათ, ამაში თავადაც დარწმუნდით. ისე არ არის, რომ ამბობენ, სოფლის გუნდიაო. ხომ ნახეთ, ჩვენზე გაცილებით ძლიერები არიან.

**— არანაირი შანსი არ გვქონდა?**

— შანსი ყველას ყველასთან აქვს, მაგრამ რეალურად თუ შევაფასებთ მდგომარეობას, ვერ მოვუგებდით.

მატჩის შესახებ აზრის გამოთქმა მეტოქეებსაც ვთხოვეთ. ჩვენდა გასაკვირად, ერთ-ერთი მათგანი, მაროკოელი *ადილ რამზი* ისტორიული პიროვნება აღმოჩნდა და თუ რატომ, ამას ქვემოთ შეიტყობთ.

— ჩვენი მთავარი მიზანი სამბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება იყო. აქედან გამომდინარე, სათამაშო ტაქტიკა კონტრშეტევებზე ავაგეთ. მთავარი იყო, მატჩის დასაწყისში გოლი არ გაგვეშვა. ეს მოვახერხეთ, ის კი არა, თავად გავიტანეთ, პირველი გოლის შემდეგაც არ გავჩერებულვართ, დაუკმაყოფილების გრძნობა გვქონდა. თავად მე უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ბურთი შევაგდე, თან ეს ორივე შემთხვევაში მოვახერხე და რაც მთავარია, პირველი მაროკოელი ვარ, ვინაც ევროთასებზე ასეთ წარმატებას მიაღწია.

*გიორგი კიკნაძე:* არაფრის თქმა არ შემიძლია. ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. „ტილბურგმა“ ყველაფერში დაგვჯაბნა.

*ლევან ცქიტიშვილი:* „ტილბურგი“ ძალიან ძლიერი გუნდი აღმოჩნდა. ჰოლანდიელთა წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყეთ. პირველი თამაში დიდი ანგარიშით რომ არ წაგვეგო, ახლა არ დავმარცხდებოდით. იმ შედეგის შემდეგ კი წარმატებაზე ფიქრი ზედმეტი.

*იატო სესაი:* შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ კარგი გუნდი გყავთ. ჰოლანდიელებივით ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ, მაგრამ დღესდღეობით უფრო ძლიერები ვართ და ეს ანგარიშიდანაც ჩანს.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია სტადიონზე მიმდინარე რემონტის გამო ნუკრი კაკილაშვილის კაბინეტში უნდა გამართულიყო. დირექტორის სავანე მომზადებულიც დაგვხვდა ჟურნალისტებს — სკამებიც პატიოსნად ჩაერიგებინათ კედლის გასწვრივ და მწვრთნელთათვის განკუთვნილ მაგიდაზეც ჩვენი, ვგონებ, ერთადერთი ეროვნული სიამაყე (ფეხბურთი გარდაგვეცვალა და...) — ბორჯომის წყალიც იწონებდა თავს. მიუხედავად ამისა, პრესკონფერენცია არ შედგა. კაკილაშვილის კაბინეტში მომლოდინეებს ასე აგვიხსნეს — თქვენმა უფროსმა გვითხრა, არ ჩატარდება და დაიშალენითო. ვინ ვის რა უთხრა ან „ჩვენს უფროსად“ ვის თვლიან, ამ წუთამდე არ ვიცით. აი, გუნდების გასახდელებთან შეკრებილ ჟურნალისტებს კი მართლაც კურიოზულად „აუხსნეს“ პრესკონფერენციის გადადება — დამლაგებელმა გასაღები თან გაიყოლა და კაკილაშვილის კაბინეტი დაკეტილიაო... კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია. ჩვენ კი — ღმერთი, რჯული, ნამდვილად დირექტორის კაბინეტში ვისხედით.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲝᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ
ᲑᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ



ტილბურგელებმა „დინამოს“ საკადრისი მიუზღვეს, წიქცეულებიც არ დაინდეს

**ეროვნული თბილისი**

24. გვარამაძე
4. დიდავა
23. ლ. მიქაძე — 3. ჭელაძე — 19. გუჩუა
7. კიკნაძე
20. მუჯირი — 8. ალექსიძე
10. ცქიტიშვილი
11. ხომერიკი — 18. აშვეთია

11. აბდელაუვი — 3. შენინგი — 23. რამზი
8. არტსი — 12. ჰეერინგი — 6. ვალკი
10. გალაშეკი
20. ჰილი — 2. პრომაიონი
4. ჰიიპია
1. ვან ფესემი

**ტილბურგი**

შეცვლა: **ჰეერინგი — 7. სესაი (62), კიკნაძე — 15. ლ. მელქაძე (75), აშვეთია — 21. კვარაცხელია (75), მუჯირი — 6. ა. სახვაძე (76) შენინგი — 14. ლოეფენი (78)**

გაფრთხილება: **შენინგი, ხომერიკი, ჰიიპია, მიქაძე**

მთავარი მსაჯი: **ლუბომირ პუჩეკი (ჩეხეთი)**

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. საჯარიმოში მყოფმა ხომერიკმა კიკნაძეს დაუგორა, ბურთი ვან ფესემის კარს ზემოდან გადასცდა.
5. ტომაშ გალაშეკი მეურვეს გასცდა, საჯარიმოში შესულმა ძლიერად გაისროლა, გვარამაძემ ცალი ხელით მოიგერია.
9. არტსის შორიდან დარტყმული გვარამაძეს ხელიდან გაუვარდა. მის ბედად იქვე არც ერთი ჰოლანდიელი არ იმყოფებოდა.
19. მარკო ჰეერინგმა საჯარიმოს მისადგომებთან მარსელ ვალკი მონახა, მისი დარტყმული ბურთი გვარამაძის კარში აღმოჩნდა — 0:1.
22. ცქიტიშვილმა მოხდენილი პასით ხომერიკი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. ლევანმაც შეუჩერებლივ, მიწაზე დაუშვებლად დაარტყა. ვან ფესემმა ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია.
26. რამზიმ მცველი პრომაიონი გაიყვანა ფლანგურ გარღვევაზე, რომლის ჩაკიდულს კარის წინ მყოფმა ახმახმა მარკ შენინგმა მძლავრი თავური შეაგება. კოშკამ სასწაულად აიღო.
28. ვალკმა და ჰეერინგმა როლები გაცვალეს — ვალკმა ჩააწოდა, ჰეერინგი კი თავით ვერ მისწვდა.
31. ხომერიკმა ცქიტიშვილი მონახა, ლევანიც შეჰყვა ბურთს საჯარიმოში, მაგრამ ფეხებში ჩავარდნილმა მცველმა არ აცალა და კუთხურზე მოიგერია.
38. საჯარიმოსთან ახლოს მყოფმა ადილ რამზიმ უძლიერესად დაარტყა. გვარამაძემ აქაც უხეიროდ მოიგერია.
39. აშვეთია მახვილი კუთხიდან ურტყამდა, ვან ფესემმა ფეხით კუთხურზე მოიგერია, იქიდან მუჯირმა მიხოს გაუთამაშა თუ არა, ამ უკანასკნელმა ცბიერად დაურტყა ვან ფესემს, მეკარემ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. მისდა ბედად თავდამსხმელს მიზანმა უმტყუნა.
42. მუჯირმა იმდენი ქნა, ბოლოს მაინც დაარტყა, მაგრამ სუსტად. ბურთი მეკარის იოლი ლუკმა გახდა.
47. მუჯირმა ხომერიკი ვან ფესემს შეატოვა, თითქოს გოლი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.
56. მუჯირმა გარღვევაზე გაიყვანა ხომერიკი. ლევანმა კარში დარტყმის მაგივრად უკან მყოფ ცქიტიშვილს დაუგორა და მომენტიც დაკარგა.
60. აბდელაუვიმ ჰენინგი მონახა, მას დარტყმა გვარამაძემ ნახტომში აუღო.
62. შენინგის ძლიერად გასროლილი კოშკამ კვლავ ნახტომში მოიგერია.
63. მოედანზე ახლადშესული სესაი რჩებოდა მეკარესთან პირისპირ, კოშკამ კარი დატოვა და მომხვდური არ გაახარა.
68. რამზიმ ალექსიძესთან ბრძოლაში მოპოვებული ბურთი კარისკენ გაისროლა, გვარამაძე ადგილზე დაუხვდა.
77. ალექსიძის დარტყმულმა რიკოშეტით ძელს ჩაუფრინა.
81. საჯარიმოში შეჭრილმა არტსმა ბურთი კარის წინ მყოფ სესაის გადასცა და... 0:2.
89. ადილ რამზიმ ულამაზესი გოლით „დინამო“ საბოლოოდ დააჩოქა — 0:3.

საქართველოს ჩემპიონატი

10

8 ტური

# ყვავილების ქვეყანა...

აჰა, ჩამთავრდა მერვე ტურიც ჩვენი მრავალტანჯული ეროვნულისა. ჩამთავრდა და ლიდერიც ახალი ვიხილეთ. იმერულმა „ტორპედომ" ისანზე არმიელები დაამარცხა და ჩვიდმეტი ქულით ერთპიროვნულად აღზევდა საგურნირო ცხრილში. ქება და დიდება ახალ ლიდერს, ჩვენ ისა ვთქვათ, არის კი ქართული საფეხბურთო საფიხვნოს მეთაურობა დიდი რამ ბედენა?! არა გვგონია — ასეთ მარაქაში გინდ ჩემპიონიც გამხდარხარ... ვერაფერიშვილობაა ჩაჩანაკ ქართულ ფეხბურთში მეწინავეობა, „ჯორჯიან ფუტბოლი" ფეხბურთს ნაკლებად ჰგავს და იმიტომ.

უყურებ უცხოური გუნდების თამაშს კაცი და შურით გულზე სკდები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მწვანე მინდორზე (ყველგან 110/65 რომაა დაახლოებით) ნემსი არსად ჩავარდება. იმდენად „ათვისებული" აქვთ სივრცეები ჩვენს ევროპელ ძმებს. აი, ჩვენთან კი „სივრცეთა ათვისება" ერთი კარიდან მეორემდე ბურთის ხამუშ-ხამუშ გორებაში და ძირითადად მოედნის შუაგულში ძუნძულში (თუ სიარულში არა) გამოიხატება. სათამაშო მინდვრებსაც ეტყობათ ეს: მეკარეთა მოედანზე და ცენტრში ულვთოდ ნათელი ბალახი ხვდება თვალს, აი, კიდეებზე კი... თუნდ ყვავილნარი გააშენოს ინტერესიანმა კაცმა ქართულ სტადიონთა კიდეებზე, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს — ერთ ყვავილსაც არავინ გაუთელავს. არ უყვართ ფლანგები ჩვენს ბიჭებს და იმიტომ.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ჯანაშიას ბურთი უყვარს

ყვავილები ყვავილებად, მაგრამ მერვე ტურში რვა თამაში გაიმართა (რვა რვა ჩვენი სიხარული) და მათზეც ხომ უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა...

ტური „დინამო" — „ბათუმის" ბევრისმნახველმა დუეტმა გახსნა. ამ ათი ჩემპიონატის მანძილზე სხვა თუ არაფერი, ერთი რამ ნაღდად ისწავლეს ზღვისპირელებმა — ეს „დინამოს" წინააღმდეგ თამაშია. ამჯერადაც მოახერხა სუპერთასის მფლობელმა, ლაგამი ამოედო ქვეყნის მარადი ჩემპიონის უსაზღვრო ამბიციებისთვის, ერთ მიღებულ ბურთს ერთი გატანილითვე უპასუხა და პირველი ორი ქულაც დააკარგვინა „დინამოს".

კვლავ ძველებურად, ძალადაუტანებლად გაიჩიქჩიქა მატარებელმა. „ლოკომოტივს" ამჯერად პრობლემებმოძალებული „გურია" ემსხვერპლა. ოთხი მშრალი ბურთი საკუთარ მოედანზე კარგს არას მოასწავებს და გურულებმაც დროა, მიხედონ მისახედს, თორემ ვინ იცის, სტარტზე შინ დაკარგული ქულები როდის გამოსდებს კვანტს ისედაც დაჩაჩანაკებულ „გურიას".

ტრადიციას არ უღალატეს სამტრედიელებმაც. აბა, წინა ტურში „გურიასთან" გამარჯვების შემდეგ იმერლები ბალანსს როგორ დაარღვევდნენ და მეოთხე გამარჯვებას მეოთხე მარცხიც მიაყოლეს. უკვე მერამდენედაა, „იბერია" მეტოქეს კლასითაც სჯაბნის, თამაშითაც, უტევს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც მარცხდება. ასეც იქნება მანამ, სანამ გუნდის ხელმძღვანელობა დაცვის ხაზს არ გააძლიერებს. რვა მატჩში გაშვებული 17 ბურთიც სწორედ „იბერიის" დაცვის და მხოლოდ დაცვის უნიათობაზე მეტყველებს. „დილა" კი... აფერუმ ახალგაზრდა გორელთა მონდომებას... მათსავით რომ ეკიდებოდეს ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ხალხი თავის საქმეს, „ჯორჯიან ფუტბოლი" ამ დღეში არ იქნებოდა.

მორიგი მარცხი იწვნია დამშეულმა „სამგურალმა". მწვრთნელმოცვლილმა ვეტერინარებმა ოთხმატჩიანი ჩავარდნა არად ჩააგდეს და დამაჯერებელი გამარჯვებით მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. „ვიტ ჯორჯია" რომ ჩვენი ეროვნულის ერთ-ერთი სოლიდური გუნდია, ამას ადრეც ვწერდით, ვეტერინარები, უეჭველია, დამარცხებულის მანტიას აიხდიან და სტარტისეული შემართებით გააგრძელებენ მეათე ჩემპიონატს. წყალტუბოელებმა კი თავიანთ გუნდს თუ არ მიხედეს, თუ მშიერ ფეხბურთელებს ცოტა პური და ფული არ შეაშველეს, გაიოზ დარსაძე კი არა, მამაზეციერიც ვერ უშველით.

სოსო ჭედიამ მორიგი გამარჯვება გამოსჭედა. ოდიშართ ამჯერად ავჭალელები დანებდნენ. შეხვედრა ძირითადად გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თუ პირველი ნახევარი სტუმრებისა იყო, მეორე ტაიმმა მთლიანად „მერანის" კარნახით ჩაიარა. ერთადერთი გამარჯვების გოლი კი ჩვენი რომელიღაც ეროვნულის ბომბარდირყოფილმა და თერგდალეულმა ზვიად ენდელაძემ გაიტანა პენალტით. მეგრელები ამ მოგებით ერთბაშად ხუთი ადგილით აღზევდნენ საგურნირო ცხრილში და დროებით, ალბათ, თავსაც სამშვიდობოს იგრძნობენ.

ბოლნისში აუტსაიდერები მშვიდობიანად დაშორდნენ. პირველი ტაიმის დასაწყისში ძნელაძის ყუმბარასავით გასროლილს პირველი ტაიმისავე ბოლოს როსტიაშვილმა ვარდნაში დარტყმულით უპასუხა. კი შეეძლოთ სტუმარ სტუდენტებს ბოლნისიდან სამი ქულის წამოღება, მაგრამ ვერ შეძლეს და ამაში ვერც მსაჯს, ვერც მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს ვერ დასდებენ ბრალს. მათ თვითონვე გაატანეს ქარს საგოლე მომენტები.

ასეა თუ ისე, თსუ — „სიონის" ტანდემი კვლავ ცხრილის ფსკერზე იმყოფება. შეძლებენ თუ არა ზევსვლას ისინი, ამას დრო დაგვანახებს.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ქვეყნის უცვლელმა პრიზიორმა „კოლხეთმა" მერვე ტურშილა შეძლო სტუმრად ქულის მოპოვება. ეს ერთადერთი კინკილა ქულა კოლხებმა რუსთაველებს წაჰგვარეს. უპირატესობას „გორდა" ფლობდა, საგოლე მომენტების უმეტესობაც მან შექმნა, მაგრამ ვერც ჩუხუას, ვერც ალადაშვილის თავგამოდებამ შედეგი ვერ გამოიღო.

ტური „არსენალი" — „ტორპედოს" უკვე ნახსენები შეხვედრით დამთავრდა. იმერლებმა მეორე ნახევარში ორი უპასუხო გოლის გატანა შეძლეს და ხელიც მოუთავეს არმიელებს. ანგარიში დიდიც შეიძლება ყოფილიყო, რომ არა დათო ჯანაშიას ზედმეტი „ბურთისმოყვარეობა". „არსენალს" ისღა დარჩენია ნუგეშად, საგურნირო ცხრილში მისი უშუალო მეტოქეებიც რომ დამარცხდნენ...

ზემოთ ვახსენეთ, მოედნის კიდეებზე ყვავილნარიც რომ გავაშენოთ, არ გადათელავენო. აი, სხვა ყვავილებს კი თელავენ ჩვენი ფეხბურთელები — ქართველ გულშემატკივართა სულის ყვავილებს ვგულისხმობთ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

თბილისი
25 სექტემბერი
17საათი
ეროვნული
1500 (ტევადობა 60 000)

## დინამო 1:1 ბათუმი

1:0 ხომერიკი (20), 1:1 ტულუში (44პ)
დინამო: გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, დ. მუჯირი (კვარაცხელია 67), კიკნაძე, ალექსიძე (ა. სახვაძე 86), აშვეთია (გ. შენგელია 73), ცქიტიშვილი, ხომერიკი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ბ. შენგელია, ლ. მელქაძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, თორლაშვილი (ვერემჩუკი 75), სიჭინავა, კანტიძე, გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია
*სათადარიგონი:* მალაყმაძე, ფუტკარაძე, აფხაზავა, ნადირაძე, ყულეჯიშვილი, რომანაძე
გაფრთხილება: დიდავა (22), გადელია (75), ვერემჩუკი (80)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ლანჩხუთი
26 სექტემბერი
17 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

## გურია 0:4 ლოკომოტივი

0:1 ბაქრაძე (9), 0:2, 0:3 ლუდუშაური (52, 58), 0:4 ძოძუაშვილი (89)
გურია: გოგუა, ფაცურია (კავთელაძე 63), კაკაჩია, კუკულაძე, განევი, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი (ლორია 72), დ. მახარაძე, ჩიგოშვილი (ბულუხია 63), მელაძე, თიბილაშვილი
*სათადარიგონი:* ვ. არდანიძე, პატარაია, ჩიკვილაძე
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, კვიტატიანი (ძოძუაშვილი 87), არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი, მარლიშვილი (დაუშვილი 61), ბაქრაძე, ნ. მინდიაშვილი, მელქაძე, გ. ლუდუშაური (მ. მინდიაშვილი 78)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე
მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

რუსთავი
26 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
1000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 კოლხეთი

გორდა: მ. ქორიძე, ხუჯაძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ჩოხელი (ბექაური 75), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ზ. ლაბაძე, მჭედლიძე, ლ. ალადაშვილი, შ. კაპანაძე, დ. მენთეშაშვილი
კოლხეთი: ქვაჩახია, პაპავა, ტორჩინავა, ახვლედიანი, გიორგობიანი, ლალანიძე, (კრასოვსკი 71), კალანდაძე, სუხიაშვილი, გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუტიძე, ბაჩილავა, შავგულიძე
გაფრთხილება: პაპავა (64), ბექაური (86)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. კახიანი, ს. შალამბერიძე; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ს. კუტივაძე

გორი
26 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
4000 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:1 იბერია

1:0 მარეხაშვილი (22), 1:1 დარასელია (28), 2:1 კაიდარაშვილი (33)
დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, მოსულიშვილი (ლ. გოჩაშვილი 58), მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, თაყაძე (ახალკაცი 75), შატაკიშვილი (გ. ჩიტაია 58)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, დ. მაისურაძე, გუდურაშვილი
იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქობესაშვილი (გ. ლურსმანაშვილი 46), გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე, ხუჭუა (ივეჩიანი 65), ვ. გიგიაძე, დარასელია, ბრეგვაძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე, სადილიანი, ფხაკაძე, ბაკურაძე
გაფრთხილება: ბრეგვაძე (21), გოჩაშვილი (60), ციცქიშვილი (79)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კობერიძე

წყალტუბო
26 სექტემბერი
17 საათი
26 მაისი
1200 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 1:3 ვიტ ჯორჯია

0:1, 0:2 ლ. ნოზაძე (33, 40), 0:3 ჭანკოტაძე (55), 1:3 ფაიქიძე (58პ)
სამგურალი: ხაჩირაშვილი, ფრანგიშვილი, მ. ჯინჭარაძე, ლონღაძე (ფაიქიძე 22), დ. ჭელიძე, ძაგნიძე, ჯავახაძე (ი. ხაჭაპურიძე 21), უგულავა (თევდორაძე 58), დარსაძე, ფილიპაშვილი, კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ზ. ქუთათელაძე, გაბელაია, შვანგირაძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (კვიციანი 80), დ. დოლიძე, დვალიშვილი, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (გ. გვაზავა 61), პეტრიაშვილი (აბაზაძე 74)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, თ. ბოკერია, ვ. ქუთათელაძე
გაფრთხილება: ლონღაძე (4), ზ. მენთეშაშვილი (9), დ. ჭელიძე (36), ფრანგიშვილი (88), გ. გვაზავა (88)
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ლ. რაზმაძე (გორი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: გ. იმნაძე

თბილისი
27 სექტემბერი
17 საათი
ისანი
4500 (ტევადობა 5 000)

## არსენალი 0:2 ტორპედო

0:1 იონანიძე (57), 0:2 მეგრელაძე (65)
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე (ხოსროშვილი 8), ვ. გველესიანი, ლაცაბიძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, კორღალიძე (ამირიძე 59), კაკაშვილი (ზირაქიშვილი 51), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. სულაძე, ყუფარიძე, ქიქავა
ტორპედო: ასლანაძე, პ. ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მეტრეველი 71), იონანიძე
*სათადარიგონი:* მამრდაშვილი, ყიფიანი, ვაჩიბერიძე, ქებაძე
გაფრთხილება: ჯანაშია (63), ყოლბაია (63), ლაცაბიძე (83)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

თბილისი
26 სექტემბერი
17 საათი
სინათლე
1500 (ტევადობა 2 000)

## მერანი 0:1 ოდიში

0:1 ენდელაძე (18პ)
მერანი: ნაჭყებია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, ჯიშკარიანი, გელა ქორიძე, ბაჯელიძე, მესხი, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ლომაია, გეწაძე, ზ. კვეტენაძე, ხარებავა, ივანიშვილი, ჩანადირი, ადეიშვილი
ოდიში: ნაყოფია, ჯაბუა, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი (ტაბაღუა 71), ჩადუნელი (თოლორაია 89), ბარქაია, კუტალია (მარკოზია 56), თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, იოსავა, თოლორაია, აკობია
გაფრთხილება: კიპაროიძე (23), ბარქაია (49), დავითნიძე (71), დანელია (85)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. ორდენიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

ბოლნისი
26 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
1000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:1 თსუ

1:0 ძნელაძე (10), 1:1 როსტიაშვილი (34)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი (დ. სვანიძე 53), ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (გაგუა 46), გოგოლაძე, მაზანაშვილი, ჯაგიდისი, თ. სამხარაძე (მოსეშვილი 28)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, ფ. არჩვაძე, კ. ჯაფარიძე, დ. ჯაფარიძე
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, ცომაია, ებრალიძე, კაკუბავა, ვ. ლუდუშაური (კ. სვანიძე), წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ჭიაბრიშვილი, ნინუა, ო. სულაძე, ინწკირველი, ბახტაძე
გაფრთხილება: მ. სამხარაძე (63), ცომაია (65), ჯაგიდისი (67)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); თ. მაჭარაძე (ხონი), ა. მეშკოვი; ე. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. იაშვილი

## ბომბარდირები

8 - ხომერიკი — დინამო
7 - იონანიძე — ტორპედო
6 - აშვეთია — დინამო
კაიდარაშვილი — დილა
ტულუში — ბათუმი
5 - წივწივაძე — კოლხეთი
4 - ვ. გიგიაძე — იბერია
კაკაშვილი — არსენალი
მაჭუტაძე — ბათუმი
ჩომახიძე — იბერია
ცქიტიშვილი — დინამო
დ. ჯანაშია — ტორპედო

## სიმბოლური ნაკრები

კობა წიტაიშვილი — თსუ
გიორგი ლუდუშაური — ლოკომოტივი
დავით ბაქრაძე — ლოკომოტივი
დავით ჯანაშია — ტორპედო
ლაშა ნოზაძე — ვიტ ჯორჯია
ზვიად ამაშუკელი — იბერია
დავით ჭიჭვეიშვილი — ბათუმი
ირაკლი ვაშაკიძე — ტორპედო
გიორგი ჭანკოტაძე — ვიტ ჯორჯია
რევაზ ხაჭაპურიძე — დილა
მამუკა ქორიძე — გორდა
გუნდი ბათუმი
მწვრთნელი ჯიმალ მახარაშვილი ვიტ ჯორჯია

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო (4) | 2 | 7 | 5 | 2 | 0 | 20:7 | +13 | 17 | 3 | 2 | 1 | 0 | 12:4 | +8 | 7 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | +5 | 10 |
| 2 დინამო (1) | 1 | 6 | 5 | 1 | 0 | 26:5 | +21 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 19:4 | +15 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | +6 | 6 |
| 3 დილა (9) | 3 | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | +4 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | +3 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 7 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 8 | 4 | 4 | 0 | 13:4 | +9 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | +4 | 7 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | +5 | 9 |
| 5 იბერია (დ) | 5 | 8 | 4 | 0 | 4 | 17:17 | 0 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | +4 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:12 | -4 | 6 |
| 6 ბათუმი (2) | 6 | 8 | 3 | 3 | 2 | 17:10 | +7 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 11:3 | +8 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 7 კოლხეთი (3) | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | +3 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | +8 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 8 ვიტ ჯორჯია (10) | 10 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:9 | +1 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | +1 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 9 ოდიში (5) | 13 | 7 | 3 | 0 | 4 | 5:11 | -6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 |
| 10 მერანი (7) | 8 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 0 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | -4 | 3 |
| 11 არსენალი (დ) | 9 | 8 | 2 | 3 | 3 | 5:12 | -7 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | -5 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 7 |
| 12 გურია (14) | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:19 | -11 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | -10 | 1 |
| 13 სამგურალი (12) | 12 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:18 | -12 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:14 | -11 | 1 |
| 14 გორდა (11) | 14 | 7 | 1 | 4 | 2 | 5:5 | 0 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | +1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 |
| 15 თსუ (8) | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 4:11 | -7 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 16 სიონი (13) | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 10:21 | -11 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:13 | -11 | 0 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

# პრობლემა არავის აკლია

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი — კროაცია**

ყოველი ბერძნული კლუბი, რა დონის ტურნირშიც არ უნდა მონაწილეობდეს, შინ თამაშისას ფავორიტად არის მიჩნეული. ასეა ამ შემთხვევაშიც — „ოლიმპიაკოსი“ მსოფლიოს ჩემპიონატის მოულოდნელი მესამეადგილოსნის, ხორვატიის ჩემპიონ „კროაციას“ მასპინძლობს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველ ტურში გუნდებმა ფრედ ითამაშეს, ოღონდ ბერძნებმა ეს გასვლაზე „პორტუსთან“ მოახერხეს, სადაც 87-ე წუთამდე 0:2-ს აგებდნენ და ბოლო სამ წუთში მოახერხეს ანგარიშის გაქვითვა, ხოლო ხორვატები შინ, უგოლო მატჩში დაუზავდნენ ამსტერდამის „აიაქსს“.

დღევანდელ შეხვედრაში მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო ორი ძირითადი ფეხბურთელი არ ეყოლებათ — გრიგორიოს გიორგატოსი და პეტერ ოფორიქუაუი, თანაც „ოლიმპიაკოსმა“ საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მეტად უსახურად ითამაშა და დამარცხდა „პანილიაკოსთან“ 0:1.

ბერძნებისგან განსხვავებით, „კროაციას“ დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს, მაგრამ ხორვატებს რობერტ პროსინეჩკის სახით ძალიან დიდი ძალა მოაკლდებათ. მას ტრავმა აწუხებს და თავის გუნდს კიდევ 6 კვირის განმავლობაში ველარ დაეხმარება.

**აიაქსი — პორტუ**

ბუნებრივია, ეს შეხვედრა ქართველ გულშემატკივრებში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. ამ მატჩში ალბათ ითამაშებს ტრავმამოშუშებული შოთა არველაძე, ხოლო ქინქლაძესთან დაკავშირებით გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია — ბოლო დროს მას მორტენ ოლსენი აღარ სწყალობს. სხვათა შორის, ჰოლანდიაში უკვე სერიოზული საუბრები მიმდინარეობს დანიელი მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რისი მიზეზიც ქვეყნის ჩემპიონატში აღებული უსახური სტარტია. ბოლო ტურში ჰოლანდიის ჩემპიონებმა არჩილ არველაძის „ბრედას“ უმასპინძლეს და დიდი გაჭირვებით მოუგეს 1:0.

სხვა მხრივ „აიაქსის“ ბანაკში სტაბილური მდგომარეობაა. არავინ არის დისკვალიფიცირებული და ტრავმაც არავის აწუხებს.

აი, პორტუგალიელებს კი ერთი დიდი პრობლემა აწუხებთ — „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრაში დაშავებული მათი იუგოსლაველი მეკარე ივიცა კრალი ჯერ კიდევ მკურნალობს და ალბათ დღეს „პორტუს“ კარს ვერ დაიცავს, რაც, რა თქმა უნდა, ჰოლანდიელებს კიდევ უფრო გაუადვილებს დასახული ამოცანის შესრულებას, ანუ გამარჯვების მოპოვებას.

### B ჯგუფი

**გალათასარაი — ატლეტიკი**

ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში თურქებმა მართლაც დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზეს, როდესაც ტოლი არაფერში დაუდეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ ტურინის „იუვენტუსს“, თანაც გასვლაზე. ვინც ის მატჩი იხილა, დამეთანხმება, რომ „გალათასარაი“ ძალიან კარგ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ჰყავს რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი და იგი ყოველი მეტოქისთვის რთულად გადასალახავი ბარიერია. თურქებს დღევანდელ შეხვედრაში ერთი დიდი უპირატესობ ექნებათ — საკუთარი მოედანი, ანუ ზედმეტად ემოციური ქომაგების მხურვალე და ხმაურიანი მხარდაჭერა. ჩემპიონატის ბოლო ტურში ქვეყნის ჩემპიონები მოულოდნელად დამარცხდნენ შინ „გენჩერბირლიგთან“ 0:2 და თანაც მატჩის მიწურულს დაშავდა გუნდის რუმინელი ლეგიონერი იულიან ფილიპესკუ, რომელსაც კუნთი დაეჭიმა, მაგრამ ექიმები ვარაუდობენ, რომ იგი დღეს მაინც გამოვა მოედანზე. „გალათასარაის“ თავკაცმა ფატიჰ ტერიმმა აღნიშნულ მარცხთან დაკავშირებით განაცხადა, ცივ შხაპს ხანდახან კარგი ეფექტი აქვს და ამ ეფექტს, ვიმედოვნებ, ბილბაოელებთან შეხვედრაში ვიხილავთო.

ბასკებს დაშავებული ჰყავდათ ესპანეთის ნაკრების წევრი იულენ გერერო. მან ამის გამო შაბათს მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ არ ითამაშა, მაგრამ „ატლეტიკის“ ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ გერერო დღეს მოედანზე გამოვა. ბასკებს კიდევ ერთი ფეხბურთელი შეემატებათ — შემტევი ნახევარმცველი ბიტორ ალკისა, ვისაც დისკვალიფიკაციის გამო „რუსენბორგის“ წინააღმდეგ არ უთამაშია.

**რუსენბორგი — იუვენტუსი**

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მეოთხედ მონაწილე ნორვეგიელები მშვენიერ ხასიათზე იმყოფებიან — ისინი პირველ ტურში სტუმრად დაუზავდნენ „ატლეტიკს“, საკუთარი ჩემპიონატის ბოლო მატჩში მოუგეს „მიოლდეს“ 2:0, არ ჰყავთ დაშავებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები და როგორც წესი, „იუვენტუსისთვის“ უხერხულ მეტოქედ ითვლებიან.

ტურინელთა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. პირველ რიგში ზინედინ ზიდანის გამოჯანმრთელებაა აღსანიშნავი, რომელმაც ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა. დღეს ვერ ვიხილავთ მოედანზე „გალათასარაისთან“ გაძევებულ ანჯელო პერუცის. საეჭვოა აგრეთვე იუგოსლაველი მცველის ზორან მირკოვიჩის თამაში — იგი „პარმასთან“ შეხვედრაში დაშავდა. მის ადგილს, სავარაუდოდ, ჯანლუკა პესოტო დაიკავებს.

### C ჯგუფი

**ინტერი — შტურმი**

მატჩის უდავო ფავორიტებს სერიოზული პრობლემები აქვთ. საქმე ისაა, რომ ტრავმების გამო დღეს სავსებით შესაძლებელია „ინტერი“ რონალდოს, რობერტო ბაჯოს და ივან სამორანოს გარეშე დარჩეს. აგრეთვე, დისკვალიფიციების გამო, იტალიელებს არც ფრანჩესკო კოლონეზე და ტარიბო ვესტი ეყოლებათ, რაც, რა თქმა უნდა, უეფას თასის მფლობელთათვის უდიდესი დანაკლისი იქნება. აღსანიშნავია, რომ „ინტერის“ შემტევ ტრიოს — ბაჯოსამორანო-რონალდო იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ემპოლისთანაც“ არ უთამაშია. ამიტომაც, ჯიჯი სიმონი აქცენტს ალბათ ახალგაზრდებზე — პირლოსა და ვენტოლაზე გააკეთებს.

მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთობ უსუსურად მოთამაშე „შტურმს“ კი მხოლოდ მეკარის პრობლემა აქვს. ტრავმირებულია ძირითადი გოლკიპერი, პოლონელი კაჟიმირ სიდორჩუკი. მის ადგილს დღეს სავარაუდოდ ნიგერიელი აბიოდუნ ბარუვა დაიკავებს.

**სპარტაკი — რეალი**

რუსეთის ჩემპიონები ბოლო ტურში თანაქალაქურ ცსკა-თან დამარცხდნენ, თანაც საკმაოდ მოულოდნელი ანგარიშით — 1:4. აღნიშნულ მატჩში „სპარტაკს“ ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდა — იგორ ტიტოვი, ილია ციმბალარი, ალექსანდრ შირკო და მიროსლავ რომაშჩენკო. ამ ოთხიდან პირველი ორი დისკვალიფიკაციის გამო არ თამაშობდა და „რეალს“ აუცილებლად დაუპირისპირდება, აი, შირკოს და რომაშჩენკოს კი ტრავმები აწუხებთ და დიდი შანსია, დღეს თავისიანებს ვერ დაეხმარონ.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებს კვლავ დაშავებული ჰყავთ საფრანგეთი 98-ის ბომბარდირი დავორ შუკერი. მცირედი ტრავმები აწუხებთ ფერნანდო მორიენტესს და ბრაზილიელ სავიო ბერტოლინის, თუმცა, შუკერისგან განსხვავებით, მათი თამაში დღეს საეჭვო ნამდვილად არ არის.

ამას გარდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადრიდელები მეტად უფრთხოდნენ რუსეთის დედაქალაქში ჩასვლას. არა, სპორტი აქ არაფერ შუაშია. ესპანელებს გაუგიათ, მოსკოვში ფინანსური კრიზისი რომ მძვინვარებს და იქ საკმაოდ მომზადებულად ჩაფრენილან. აუცილებელი აღჭურვილობის გარდა, „რეალს“ მოსკოვში წაუღია საძილე ტომრები, რადგან ამბობდნენ, იქ ცენტრალური გათბობაა გამორთულიო, თბილი ტანსაცმელი და დიდი რაოდენობით სურსათი — 140 კილო ხორცი, 120 კილო ხილი, 70 კილო თევზი, 180 კვერცხი და 250 ბოთლი ესპანურ ღვინო.



სარბიელის არქივიდან

ერთი ამპლუის ორი ფეხბურთელი ფინელი იარი ლიტმანენი და ქართველი გიორგი ქინქლაძე (მარჯვნივ) „პორტუს“ ელიან

### D ჯგუფი

**ბაიერნი — მანჩესტერი**

ბენდესლიგის ლიდერებს, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ყველასთვის მოულოდნელად „ბრონდბიუსთან“ მარცხით დაიწყეს, დღეს არ ეყოლებათ ნახევარმცველი მეჰმეტ შოლი, რომელიც ტრავმირებულია და კვლავ მკურნალობს, მცველი თომას ჰელმერი, ვისაც კუნთი აქვს დაჭიმული და გრიპშეყრილი მარიო ბასლერი. გერმანელ ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ჰელმერი და ბასლერი მაინც შეძლებდნენ თამაშს, მაგრამ გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა მათი დღევანდელ მატჩში მონაწილეობა მიზანშეუწონლად ჩათვალა.

ტრავმირებული ფეხბურთელები მანჩესტერელებს არ ჰყავთ, თუმცა დისკვალიფიკაციის გამო მათ ნიკი ბათი გამოაკლდებათ. პრემიერლიგის გათამაშების ბოლო ტურში „იუნაიტედმა“ „ლივერპულს“ მოუგო 2:0, ხოლო „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონატის ლიდერის პოზიცია „ვერდერის“ 1:0 დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო განიმტკიცა.

**ბარსელონა — ბრონდბიუ**

კატალონიელებს დღეს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაშავებული მიგელ ანხელ ნადალის გარეშე მოუწევთ ბრძოლა, ხოლო ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტის ადგილს, რომელმაც „სელტასთან“ ფრედ 2:2 დამთავრებულ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ არის ბრაზილიელი სონი ანდერსონი დაიკავებს.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მთავარი სენსაციის ავტორ „ბრონდბიუს“, იგი დანიის ნაკრების წევრ სორენ კოლდინგს მოისაკლისებს. იგი დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, ნახევარდაცვას კვლავ გაამაგრებს გუნდის კაპიტანი იონ ფაქსე იენსენი, რომელმაც პარასკევს „ორჰუსთან“ შეხვედრისას თავი გაიტეხა.

### E ჯგუფი

**არსენალი — პანათინაიკოსი**

ინგლისის ჩემპიონები დღეს მშობლიურ „უემბლიზე“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს გამართავენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „არსენალს“ დისკვალიფიცირებული და დაშავებული ფეხბურთელები არ ჰყავს. ერთადერთი მოთამაშე, ვისაც ლონდონელთა რიგებში დღეს უეჭველად ვერ ვიხილავთ, „არსენალის“ ახალი შენაძენი, შვედეთის ნაკრების წევრი ფრედრიკ ლიუნგბერგია, რომელიც ამ ტურნირის განაცხადში არ არის შეყვანილი.

საკმაოდ დიდი პრობლემა აქვთ ბერძნებს — მათ არ ეყოლებათ საუკეთესო გოლეადორი, პოლონელი კრიშტოფ ვარჟიხა, რომელსაც ტრავმა აწუხებს. სხვა მხრივ „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში ცვლილება არ არის მოსალოდნელი და ბერძნები კიევის „დინამოსთან“ აღებულ სამ ქულას, მათივე თქმით, სულ ცოტა, ერთს მიუმატებენ.

**დინამო — ლანსი**

შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალედ მოასპარეზე უკრაინის ჩემპიონებმა წელს მეტად უხეიროდ დაიწყეს და პირველივე მატჩში დამარცხდნენ. ამიტომაც დღეს მშობლიურ ასიათასიან სტადიონზე ისინი მხოლოდ მოგებაზე იფიქრებენ. თუმცა კიეველებს თავსატეხი ნამდვილად არ აკლიათ. მართალია, მცველები ოლეგ ლუჟნი და იური დმიტრულინი უკვე გამოჯანმრთელდნენ, მათ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ეს ორი გამოცდილი უკანახაზელი ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში მოხვდება. [illegible] ცენტრალური მცველის, ვლადისლავ ვაშჩუკის თამაშიც — მან უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიიღო ფეხის მცირედი ტრავმა.

დაშავებულები ფრანგებსაც ბლომად ჰყავთ. განსაკუთრებით საეჭვოა ნახევარმცველ ტონი ვერელის და მარჯვენა მცველ ერიკ სიკორას დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობა. მათ ტრავმა ვარჯიშის დროს მიიღეს. კვლავ გამოჯანმრთელების პროცესში იმყოფება მცველი ფილიპ ბრუნელი, მაგრამ არის ერთი სასიკეთო ამბავიც — ტრავმა მოიშუშა საფრანგეთის ჩემპიონთა ლიბერომ სირილ მანიემ, რაც „ლანსის“ დაცვით ხაზს მეტად გააძლიერებს.

### F ჯგუფი

**ჰიკ — კაიზერსლაუტერნი**

ფინელები, რომლებიც „ეინდჰოვენთან“ შეხვედრაში მხოლოდ ბრუგინკის ბოლო წუთზე გატანილის გამო დამარცხდნენ და კინაღამ სენსაცია მოახდინეს, დღეს მთელ რიგ ფეხბურთელებს მოისაკლისებენ. კერძოდ, მასპინძლებს დისკვალიფიკაციის შედეგად ერთბაშად სამი მოთამაშე გამოაკლდებათ — თავდამსხმელი მიკა კოტილა, მეკარე ტომი კოივისტოინენი და აარნო ტურპეინენი, რამაც შეიძლება მატჩის შედეგზე ფინეთის ჩემპიონთათვის მეტად უარყოფითად იმოქმედოს.

თუმცა, გერმანელები არიან უკეთეს დღეშიო, ნამდვილად ვერ ვიტყვით, მეტიც, მათი დანაკლისი უფრო სოლიდურია — დანიელ მიხაელ შიონბერგს კუნთი აქვს დაჭიმული, ნახევარმცველი ანდრეას ბუკი მუცლის ტკივილებს უჩივის, მცველ აქსელ რუსის კოჭის ტრავმა აწუხებს, ხოლო გუნდის რთ-ერთ ლიდერ ბრაზილიელ რატინიოს მუხლი სტკივა. ასე, რომ გერმანიის ჩემპიონებს საკმაოზე მეტი პრობლემები აქვთ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ ფინელებისგან განსხვავებით, გამოცდილი სპეციალისტი ოტო რეჰაგელი წვრთნის.

**ბენფიკა — ეინდჰოვენი**

ისევე როგორც ყველას, ტრავმირებული ფეხბურთელების პრობლემა პორტუგალიელთა შოტლანდიელ თავკაც გრემ სუნესსაც აქვს, განსაკუთრებით დაცვაში, სადაც ერთბაშად ორი ძირითადი მოთამაშეა დაშავებული — პაულო მადეირა და სკოტ მინტო. ტრავმირებულია „ბენფიკას“ შეტევების დამაგვირგვინებელი, ინგლისელი თავდამსხმელი ბრაიან დინი, თუმცა მას ნამდვილად ჰყავს ღირსეული შემცვლელი — ნუნუ გომეში, რომელმაც პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ჰეთ-თრიქი შეასრულა და თავისიანებს „მარიტიმუსთან“ 3:1 მოაგებინა. მოკლედ, „ბენფიკას“ დაცვაში გაუჭირდება.

გაუჭირდება, თუ „ეინდჰოვენი“ შეუტევს. ჰოლანდიური გუნდი ღრმა კრიზისში იმყოფება და „ტიტების ქვეყანაში“ ტყუილად არ საუბრობენ ცნობილი ინგლისელი სპეციალისტის ბობი რობსონის პოსტიდან გათავისუფლებაზე. საუბრები გაცილებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ჩემპიონატის ბოლო ტურში „ეინდჰოვენმა“ 1:4 წააგო აზ-67-თან. აღსანიშნავია, რომ წელს ეს უკვე რობსონის გუნდის მესამე მარცხია. ყველაფერს ისიც ემატება, რომ დღეს ალბათ მოედანზე ვერ ვიხილავთ ჰოლანდიელთა კაპიტან ანდრე ოიერს და დაცვის ბურჯ სტან ვალქსს, რომელიც ადრე ეროვნული გუნდის ღირსებასაც იცავდა. ეინდჰოვენელებს მხოლოდ ცენტრალური მცველის, ფაბერის დაბრუნება თუ დააწყნარებთ, თორემ ისე მათი წარმატებული თამაში, მით უმეტეს სტუმრად ნაღდად საეჭვოა.

**დავით კოპზირიძე**


საბერძნეთი — საქართველო
14 ოქტომბერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში
750 დოლარად გთავაზობთ 4-დღიან მოგზაურობას
საბერძნეთში ფეხბურთზე დასასწრებად.
თქვენი მხარდაჭერა ჩვენების გამარჯვების საწინდარია
ფირმა „ჰებე“
თავისუფლების მოედანი 7. ტელ: 92-15-59, 99-79-35.

# რატომღაც, ეკვადორთან ვაშინგტონში

ნახევარმცველ ფლავიო კონსეისაოსა და თავდამსხმელ ელბერს ტრავმების გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი მწვრთნელის ვანდერლეი ლუქსემბურგოს ხელში ამ ორ ბრაზილიელს ნაკრებში გამოსვლის იმედი ჯერ კიდევ უნდა ჰქონდეს — ისინი ეკვადორთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად გამოიძახეს.

ლუქსემბურგომ ოთხი ისეთი მოთამაშის გამოცდაც განიზრახა, ეროვნული გუნდის ყვითელი ფორმა არასდროს რომ სცმია.



დენილსონს რაც იუგოსლავიასთან ვერ შესძლო, იქნებ ეკვადორთან მოახერხოს

სამაგიეროდ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გამოძახებულთა სიაში არ არიან მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი სავიო და „ბარსელონაში“ მოთამაშე სონი ანდერსონი.

ზემოხსენებული ფლავიო კონსეისაოც ესპანეთში თამაშობს, იგი „დეპორტივო ლა კორუნიას“ წევრია. კონსეისაო ლუქსემბურგოს წინამორბედს, მარიო ზაგალოს გაზაფხულზე შეყვანილი ჰყავდა საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანთა ჩამონათვალში, მაგრამ ფეხბურთელს ბედმა უმუხთლა, დაშავდა.

დაშავდა მიუნხენის „ბაიერნის“ თავდასხმელი, ჯოვანი ელბერიც, რომელსაც ზაგალო წლის დასაწყისში ერთობ კეთილი თვალით უყურებდა.

რაც შეეხება დებიუტანტთა ოთხეულს, მასში შედიან „სანტოსის“ მცველი ანდერსონი, „პორტუგეზას“ მცველი სეზარი, ასევე მცველი „კორინთიანსიდან“, კრისი და „კრუზეიროს“ თავდასხმელი ფაბიო ჟუნიორი.

ბრაზილიელ ფეხბურთელთა შორის უმთავრესს, მილანის „ინტერის“ თავდამსხმელს რონალდოს, ლუქსემბურგოს აზრით, ჯერ კიდევ დასვენება სჭირდება.

ეკვადორის ნაკრებთან ტეტრაკამპიონები 14 ოქტომბერს, ვაშინგტონში ითამაშებენ. მოგეხსენებათ, ეს მატჩი ლუქსემბურგოსთვის ეროვნული გუნდის თავკაცის რანგში მეორეა. პირველი შეხვედრა ამასწინათ იუგოსლავიასთან იყო და ფრედ 1:1 დასრულდა.

იუგოსლავიელებთან ნათამაშევი მატჩის გმირი, ყველასთვის სამწუხაროდ, ბრაზილიელი მსაჯი სიდრაკ მარინიო გახდა. მან ფრიად საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც შეხვედრის მეორე ტაიმში სტუმრებს მოედნიდან მოთამაშე გაუძევა და გარდა ამისა, ბრაზილიის ნაკრების კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა არ დანიშნა. კიდევ იყო ერთი, ეპიზოდი, რომელიც შემდეგ სალაპარაკო გახდა: ჯარიმა, რომელიც მარინიოს თანამემამულეებმა გოლად აქციეს, თითიდან გამოწოვილი გახლდათ.

ამ ამბავმა, როგორც მოგახსენეთ, დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ნაკრების პატრონთა მოღვაწეობა საგანგებო მეთვალყურეობის საგნად იქცა.

ამჯერად ყურადღება მეტოქემ, ეკვადორმა მიიპყრო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია თავიდან აცხადებდა, რომ იუგოსლავიელებთან შეხვედრის შემდეგ მოსალოდნელი იყო საკონტროლო მატჩი მექსიკასთან. ასახელებენ მის ჩატარების ადგილს, გვადალახარასაც. შემდეგ ითქვა, რომ მოწინააღმდეგე იქნება არა მექსიკა, არამედ კოლუმბია და თამაში ნიუ იორკში გაიმართება, ბოლოს კი გაირკვა, რომ ბრაზილია ვაშინგტონში ეკვადორს ხვდება.

ლუქსემბურგოს მიწვეულთა სია ასეთია: მეკარეები — როჟერიო (სან პაულუ), ანდრე (ინტერნასიონალი); მცველები — ანდერსონი (სანტოსი), კრისი (კორინთიანსი), კაფუ და ანტონიო კარლოსი (რომა, იტალია), ფილიპე და ოდვანი (ვასკუ და გამა), სერჟინიო (სან პაულუ), სეზარი (პორტუგეზა); ნახევარმცველები — ვამპეტა და მარსელინიო კარიოკა (კორინთიანსი), როჟერიო და ალექსი (პალმეირასი), მარკუს ასუნსაო (ფლამენგო), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ჯექსონი (სპორტ რესიფე); თავდამსხმელები — ელბერი (ბაიერნი, გერმანია), დენილსონი (რეალ ბეტისი, ესპანეთი), ფაბიო ჟუნიორი (კრუზეირო), კრისტიანი (ინტერნასიონალი).

**მიხეილ სურგულაძე**

# ვამბობთ ბაიერნი, ვგულისხმობთ გერმანიას

გერმანიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა, ევრო 2000-ის შესარჩევში, თურქეთისა და მოლდოვას წინააღმდეგ სათამაშოდ მიუნხენის „ბაიერნის“ რვა და ეროვნულ გუნდში უთამაშებელი ხუთი ფეხბურთელი მიიწვია.

დღიესათვის რიბეკის ჩამონათვალში 26 მოთამაშეა, თუმცა მომავალ ორშაბათამდე მწვრთნელს ხუთი მათგანის შინ გაშვება მოუწევს. ხსენებული ახალწვეულები არიან: „ბაიერნის“ კარსტენ იანკერი, „ლევერკუზენის“ კარსტენ რამელო, თურქულ „ფენერბაჰჩეში“ მოთამაშე მუსტაფა დოგანი, „შალკე 04“-ის წევრი ივ აიგენრაუხი და შტეფან კლოსი, დორტმუნდის „ბორუსიისას“ მეკარე.

რიბეკისგან, რომელიც ნაკრებს ახლახანს, სექტემბერში ჩაუყენეს სათავეში, ყველა სწორედ „ბაიერნის“ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფის მიწვევას ელოდა. მართლაც ასე მოხდა. ზემოთ რომ იანკერის დებიუტანტობა ვახსენეთ, მასთან ერთად ბანაკში იმდენი თანაგუნდელი იქნება, რომ უთუოა, კარსტენი გაცილებით იოლად გადალახავს ფსიქოლოგიურ ბარიერს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

იანკერთან ერთად იმოგზაურებენ და ითამაშებენ ბავარიელები: ლოთარ მათეუსი, ოლივერ კანი, მარკუს ბაბელი, მარიო ბასლერი, იენს იერემისი, თომას შტრუნცი და მიხაელ ტარნატი.

ბუნებრივია, გამოძახებულთა შორისაა „მილანის“ ფორვარდი ოლივერ ბირჰოფი. მას პარტნიორობას გაუწევენ ოლაფ მარშალი და ულფ კირსტენი.

ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში რიბეკმა სიურპრიზი ახსენა და აასრულა კიდეც სიტყვა — რალფ ვებერი, მარკო ბოდე და მარკო რემერი — აი, მოულოდნელად მიჩნეული გვარები.

გუნდშია დიდებულად ათამაშებული ლევერკუზენელი შტეფან ბაინლიხიც. მას მერე, რაც „ბაიერნის“ გამთამაშებელმა შტეფან ეფენბერგმა ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე უარი განაცხადა, მის ადგილს ალბათ სწორედ ბაინლიხი დაიკავებს.

— „ბაიერნიდან“ მხოლოდ რვა ფეხბურთელი მივიწვიე. დანარჩენების გამოძახებაც არ უნდა გაკვირვებოდა ვინმეს. უპირველესად ტორსტენ ფინკს და თომას ლინკეს ვგულისხმობ — განაცხადა რიბეკმა და დასძინა — ერთი გუნდიდან ამდენი მოთამაშე იმიტომ დავიბარე, რომ ისინი სხვებზე უკეთესებად მიმაჩნია. სხვა მოტივი არ მქონია.

მეკარეები—ოლივერ კანი (ბაიერნი), შტეფან კლოსი (დორტმუნდი), იენს ლემანი (მილანი, იტალია); მცველები: —მარკუს ბაბელი და ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), მუსტაფა დოგანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ივ აიგენრაუხი (შალკე), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა); ნახევარმცველები—მარიო ბასლერი, იენს იერემისი, თომას შტრუნცი და მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), შტეფან ბაინლიხი (ლევერკუზენი), მარკო ბოდე (ვერდერი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან ნერლინგერი (დორტმუნდი), კარსტენ რამელო (ლევერკუზენი), ლარს რიკენი (დორტმუნდი), რალფ ვებერი (აინტრახტი), დარიუშ ვოში (ჰერტა).; თავდამსხმელები—ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნიუვილი (ჰანზა).

**ბაბუნა ბედია**


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

სპორტის (ფეხბურთის) მოყვარულებს სთავაზობს სიახლეს მხოლოდ

ESPN-ის საშუალებით შესაძლებელია იტალიის, ინგლისის, ჰოლანდიის და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ლიგის, NBA-ს პროფ. ლიგის კრივის ქრესტომატიული მატჩების, „indi“ კატეგორიის ავტორბოლის ტრანსლაციის თვალყურის დევნა.

SKY NEWS - პრემიერლიგის სრული მიმოხილვა (ყოველდღე) უახლესი სპორტული მიღწევები, კურიოზული სიტუაციები.

ახალი ფასები
ახალი პაკეტები
ახალი არხები

Ayety TV-სგან

ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი თქვენი ოჯახისთვის

93-47-33 92-12-66


## საბერძნეთი

მე-5 ტური: პანიონიოსი — პანელეფსინიაკოსი 3:0; კავალა — არისი 3:1; ვერია — აპოლონი 1:1; პანათინაიკოსი — იონიკოსი 2:1; ოფი — აეკი 0:1; ეთნიკოსი (პირეოსი) — პაოკი 1:1; პანილიაკოსი — ოლიმპიაკოსი 1:0; ირაკლისი — ეთნიკოსი (ათენი) 1:1; პროდეფტიკი — ქსანტი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| პანათინაიკოსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:5 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 10 |
| არისი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| იონიკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 10 |
| ქსანტი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| პანილიაკოსი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| კავალა | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| ეთნიკოსი (ა) | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| პანიონისი | 5 | 2 | 0 | 3 | 12:11 | 6 |
| ოფი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| პაოკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| პროდეფტიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| პანელეფსინიაკოსი | 5 | 0 | 4 | 1 | 2:5 | 4 |
| აპოლონი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:14 | 2 |
| ეთნიკოსი (პ) | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |
| ვერია | 5 | 0 | 1 | 4 | 1:10 | 1 |

## ავსტრია

მე-10 ტური. ტიროლი — აუსტრია 3:0, რაპიდი — ლუსტენაუ 1:0, შტაირი — შტურმი 0:1, ლინცერი — რიდი 3:1, გრაცერი — ზალცბურგი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 10 | 7 | 2 | 1 | 16:5 | 23 |
| რაპიდი | 9 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 20 |
| შტურმი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:9 | 19 |
| ლინცერი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:14 | 19 |
| აუსტრია | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 15 |
| ზალცბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:16 | 12 |
| ტიროლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:15 | 9 |
| ლუსტენაუ | 10 | 1 | 4 | 5 | 8:19 | 7 |
| რიდი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:12 | 6 |
| შტაირი | 10 | 1 | 2 | 7 | 10:24 | 2 |

## ალბანეთი

მე-4 ტური. პარტიზანი — შკუმბინი 1:0, ტეუტა — დინამო 3:0, ტიმორი — შკენდერბიუ 2:0, ვლაჟნია — ბილისი 2:0, ბესა — ლასი 2:0, ბურელი — აპოლონია 2:0, ტირანა — ფლამურტალი 1:0, ელბასანი — ლუშნია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| პარტიზანი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| ტირანა | 4 | 2 | 1 | 5 | 5:8 | 7 |
| ლუშნია | 4 | 2 | 0 | 2 | 11:6 | 6 |
| ბურელი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| ბილისი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ელბასანი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ბესა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ტეუტა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:10 | 6 |
| ტომორი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ფლამურტალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ლასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| აპოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| სკენდერბიუ | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 3 |
| შკუმბინი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | 3 |

## სლოვენია

მე-8 ტური: ოლიმპია — მარიბორი 1:4; ბელტინჩი — დომზალე 2:0; ცელიე — აიდოვშინა 3:0; ველენიე — ტრიგლავი 1:0; კოპერი — კოროტანი 0:1; ნოვა გორიცა — მურა 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:5 | 19 |
| ნოვა გორიცა | 8 | 6 | 0 | 2 | 19:9 | 18 |
| ოლიმპია | 8 | 5 | 0 | 3 | 14:12 | 15 |
| მურა | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| ბელტინჩი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| ცელიე | 8 | 3 | 3 | 2 | 8:7 | 12 |
| ველენიე | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| კოროტანი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| კოპერი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:17 | 7 |
| აიდოვშინა | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| ტრიგლავი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:9 | 6 |
| დომზალე | 8 | 1 | 2 | 5 | 1:13 | 5 |

## ლატვია

23-ე ტური: დაუგავა — სკონტო 1:2; ვენტსპილსი — მეტალურგსი 2:0; რეზეკნე — დინაბურგი 2:4; ვალმიერა — რანტო 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 22 | 17 | 2 | 3 | 67:21 | 53 |
| მეტალურგსი | 22 | 15 | 3 | 4 | 51:18 | 48 |
| ვენტსპილსი | 23 | 12 | 6 | 5 | 44:17 | 42 |
| დინაბურგი | 23 | 10 | 8 | 5 | 42:21 | 38 |
| ვალმიერა | 23 | 8 | 6 | 9 | 30:40 | 30 |
| დაუგავა | 23 | 7 | 6 | 10 | 39:37 | 27 |
| რანტო | 23 | 2 | 3 | 18 | 19:92 | 9. |
| რეზეკნე | 23 | 1 | 4 | 18 | 19:65 | 7 |

## პორტუგალია

V ტურის ბოლო მატჩი

სეტუბალი 1:1 ფარენსე

1:0 ბესიროვიჩი (53), 1:1 ვანდო (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| პორტუ | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| სპორტინგი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| შავეში | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| უნიაუ | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 10 |
| სალგეიროში | 5 | 2 | 3 | 0 | 10:7 | 9 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 9 |
| ბრაგა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| ამადორა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| კამპომაიორენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| რიუ ავე | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| გიმარაეში | 5 | 1 | 1 | 3 | 7:8 | 4 |
| ალვერკა | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| ბეირა მარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ფარენსე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| სეტუბალი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:10 | 3 |
| მარიტიმუ | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| აკადემიკა | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | 2 |

## თურქეთი

მე-7 ტური. ტრაბზონი — ფენერბაჰჩე 1:0; დარდანელი — სამსუნი 0:0; ბეშიქთაში — ისტანბული 2:1; საქარია — ერზურუმი 1:1; ქარაბუქი — ადანა 2:0; გაზიანთეფი — ალთაი 1:1; ანთალია — ბურსა 0:0; ანკარაგიუჯიუ — ქოჯაელი 0:2; გალათასარაი — გენჩლერბირლიგი 0:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენჩლერბირ. | 7 | 6 | 0 | 1 | 17:9 | 18 |
| ბეშიქთაში | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| გალათასარაი | 7 | 5 | 1 | 1 | 22:7 | 16 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 4 | 2 | 1 | 18:6 | 14 |
| გაზიანთეფი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:5 | 14 |
| ისტანბული | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| ტრაბზონი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 12 |
| ანთალია | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 12 |
| ქოჯაელი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ერზურუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:16 | 11 |
| ბურსა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | 8 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| ქარაბუქი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| ადანა | 7 | 1 | 1 | 5 | 2:9 | 4 |
| ალთაი | 7 | 1 | 1 | 5 | 9:17 | 4 |
| საქარია | 7 | 0 | 3 | 4 | 5:13 | 3 |
| დარდანელი | 7 | 0 | 2 | 5 | 1:9 | 2 |
| სამსუნი | 7 | 0 | 2 | 5 | 7:17 | 2 |

## უკრაინა

მე-12 ტური: ცსკა — ზირკა 0:0; ვორსკლა — დნეპრი 1:0; პრიკარპატიე — ნივა 1:1; მეტალურგი (დონეცკი) — კარპატი 4:3; კრივბასი — მეტალისტი 1:0; მიკოლაიევი — მეტალურგი (მარიუპოლი) 1:2; ტავრია — დინამო 3:3; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — შახტიორი 2:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 10 | 8 | 0 | 2 | 33:9 | 24 |
| დინამო | 10 | 6 | 3 | 1 | 31:7 | 21 |
| მეტალურგი (მ) | 12 | 6 | 3 | 3 | 15:7 | 21 |
| კრივბასი | 12 | 5 | 6 | 1 | 13:4 | 21 |
| კარპატი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| მეტალურგი (დ) | 12 | 5 | 4 | 3 | 14:14 | 19 |
| ცსკა | 11 | 4 | 6 | 1 | 16:12 | 18 |
| მეტალურგი (ზ) | 11 | 4 | 3 | 4 | 17:19 | 15 |
| ტავრია | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | 15 |
| ნივა | 12 | 4 | 3 | 5 | 9:15 | 15 |
| დნეპრი | 11 | 4 | 1 | 6 | 10:17 | 13 |
| ვორსკლა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:19 | 13 |
| ზირკა | 12 | 2 | 4 | 6 | 10:17 | 10 |
| მეტალისტი | 11 | 3 | 0 | 8 | 11:24 | 9 |
| მიკოლაიევი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:22 | 9 |
| პრიკარპატიე | 12 | 1 | 4 | 7 | 8:25 | 7 |

## ნორვეგია

23-ე ტური: ბრანი — ლილესტრიომი 1:2; მოლდე — როსენბორგი 0:2; ბოდო გლიმტი — ვიკინგი 3:1; კონგსვინგერი — ტრომსო 2:1; სოგნდალი — ვალერენგა 1:3; სტაბეკი — ჰაუგესუნდი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 23 | 18 | 2 | 3 | 73:22 | 56 |
| მოლდე | 23 | 15 | 6 | 2 | 62:26 | 51 |
| სტაბეკი | 23 | 14 | 4 | 5 | 50:26 | 46 |
| ვიკინგი | 23 | 12 | 3 | 8 | 57:40 | 39 |
| ბოდო გლიმტი | 23 | 9 | 8 | 6 | 41:39 | 35 |
| ლილესტრიომი | 23 | 9 | 5 | 9 | 35:41 | 32 |
| ბრანი | 23 | 7 | 7 | 9 | 37:37 | 28 |
| ტრომსო | 23 | 7 | 6 | 10 | 36:40 | 27 |
| ვალერენგა | 23 | 8 | 3 | 12 | 38:47 | 27 |
| სტრომსგოდსეტი | 23 | 7 | 5 | 11 | 36:55 | 26 |
| მოსი | 23 | 8 | 2 | 13 | 28:47 | 26 |
| კონგსვინგერი | 23 | 7 | 3 | 13 | 33:56 | 24 |
| ჰაუგესუნდი | 23 | 5 | 4 | 14 | 35:48 | 19 |
| სოგნდალი | 23 | 4 | 4 | 15 | 26:63 | 16 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

ულმი 4:2 მაინცი

0:1 პოლიკელა (2), 1:1 ტრკულია (12), 2:1, 3:1 ზდრილიჩი (27,56), 4:1 ტრკულია (71), 4:2 ჰერცბერგერი (86)

# ფიფას სიმტკიცე და შეუვალობა

ურჩებს, აჯანყებულებს და სიმდიდრეს დახარბებულთ ფიფა აფრთხილებს: სულ ერთია ვინ იქნება, ფეხბურთის ფედერაცია, კლუბი თუ მოთამაშე, ყველა, ვინც შემოთავაზებულ სუპერლიგასთან საქმეს დაიჭერს, დაისჯება.

მსოფლიოს ფეხბურთის შეფთა განცხადებაში მკაფიოდ და მძაფრადაა განმარტებული, რომ უეფასგან დამოუკიდებლად ვერავინ შეძლებს რაიმე სტრუქტურის შექმნას. „კომერციული კომპანიები ფეხბურთის პრინციპებს თავს ესხმიან. ისინი ცდილობენ გაურიგდნენ პრესტიჟულ კლუბებს, რომელთაც უზარმაზარი ფულის მოსაგებად პრივილეგიების მოპოვება სურთ" — წერია ფიფას მიერ გავრცელებულ დოკუმენტში — ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანთაგანი, როგორც წესდებითაა განსაზღვრული, გახლავთ ნებისმიერი სახის საფეხბურთო საქმიანობის კონტროლი. საამისოდ გადაიდგმება ყველა ნაბიჯი, მივიღებთ ნებისმიერ ზომას და არასწორ ქმედებებს ალვკვეთავთ."

განცხადებაში დაწერილი, სიტყვით ფიფას პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა განმარტა. მან ბრძანა, რომ წესრიგის დამყარების მიზნით ამა თუ იმ ურჩი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დისკვალიფიკაციაც კი არაა გამორიცხული. იგივე მოუვათ იმ კლუბებსა და ფეხბურთელებს, რომლებიც სუპერლიგის შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ დროგამოშვებით ფიფას უხდება ზოგიერთი ქვეყნის ფედერაციის სარბიელიდან მოკვეთა, უპირატესად საწევროს ან ჯარიმის გადაუხდელობის გამო, მაგრამ სავარუდოა, რომ თუ იგი ქვეყანას დასჯის, რადგან ამ ქვეყნის გუნდი ან ფეხბურთელი სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ შეჯიბრებაში თამაშობს, ევროკავშირთან დიდი კონფლიქტი მოუვა.

მოსალოდნელია, რომ ასეთი კონფლიქტი ევროსასამართლოში გაირჩევა, ხოლო



სარბიელის არქივიდან

იოზეფ ბლატერი არაფერს დათმობს

თუ რას ნიშნავს ევროსასამართლო, ეს უეფამ ბოსმანის წესთან დაკავშირებული პროცესის შემდეგ ძალიან კარგად უწყის. მაშინ დამტკიცდა, რომ საფეხბურთო ძალაუფლების მქონენი არც ისე გავლენიანნი არიან, როგორც თავად ჰგონიათ.

ბლატერმა, ამასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ თავად ჩაუდგება სათავეში კომიტეტს, რომელიც ევროკავშირთან იმსჯელებს ფეხბურთის განვითრების საკითხებზე. „ბოლო დადგენილება, რასაც ფიფა მიიღებს, იქნება ის, რომ როგორც კი ფედერაციას კლუბი გაექცევა, ის მყისვე მოიკვეთება საერთაშორისო ფეხბურთიდან. ფედერაციის დისკვალიფიკაცია კი ქვეყნის ყველა კლუბის დისკვალიფიკაციას ნიშნავს. როგორც კი სოლიდარობის პრინციპი აღდგება, დასჯილი ქვეყანა საფეხბურთო ოჯახს წევრი დაუბრუნდება" — ბრძანა ბლატერმა.

მას მერე, რაც სიტყვა ოჯახი ახსენა, ბლატერმა ახალი ლიგის მოსურნენი იმ პოლიტიკოსებს შეადარა, კენჭს სხვის ოლქში რომ იყრიან.

ახალი ლიგა კი მილანში მოქმედმა ფინანსურმა ჯგუფმა „მედია პარტნერზმა" შესთავაზა საზოგადოებრიობას. მისი იდეა ასეთია: 2000-2001 წლების სეზონში ევროპის 18-მა მდიდარმა კლუბმა უნდა დაიწყოს თავისი დამოუკიდებელი შეჯიბრება. „მათ ფიფას ოჯახში შეჭრა სურთ და უნდათ საუკეთესო, ყველაზე ნიჭიერი წევრები გაიტაცონ. ეს საფეხბურთო მორალს ეწინააღმდეგება. მე ამ აზრის ვარ: ერთხმად და მტკიცედ უნდა ვაჩვენოთ ყველას, რომ ფეხბურთს ჩვენ ვპატრონობთ. ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია, რათა ხალხი დაამშვიდოს და დაამტკიცოს, რომ ჩვენს თამაშს ჩრდილს ვერავინ მიაყენებს. ძალაუფლება ღონივრად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ მმართველები გახლავართ და დაგანახებთ, როგორ უნდა ბრძოლა" — ისევ ბლატერის ციტატაა.

ფიფას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მედია პარტნერზის" წარმომადგენლებთან უშუალოდ არ ულაპარაკია, მაგრამ მის წარმომადგენლებს, კერძოდ კი უეფას თანამშრომლებს ჰქონდათ შეხვედრები.

ფიფას აღმასკომის ორი წევრი, ამერიკელი ჩაკ ბლეიზერი და ტუნისელი სლიმ ალულუ უეფას „ტასკ ფორსის" წევრები გახდნენ და ევროპელ კოლეგებთან ერთად შეეცდებიან სახიფათო სუპერლიგის განეიტრალებას.

უეფა სუპელიგის საწინააღმდეგოდ თავისი პროექტის გამომზეურებას ოქტომბრის დასაწყისში, ლისაბონში დანიშნულ აღმასკომის სხდომაზე აპირებს.

„მედია პარტნერზის" პრეს-ატაშემ კი სააგენტო „როიტერს" განუცხადა: „ ჩვენ ევროპის უდიდეს კლუბებთან ერთად სუპერლიგის პროექტის დახვეწას განვაგრძობთ და საქმის ფიფასთან ერთად განხილვაც ძალიან გვსურს. სადღეისოდ ფიფამ ჩვენი პროექტის დეტალების შესხებ არაფერი იცის, ამიტომაც მისგან კრიტიკა გაუგებარია."

**სტივ ძიტინგი, როიტერი**

# დავემორჩილოთ კანონებს

სუპერლიგის შესაძლო შექმნით აღშფოთებულ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყოლია. ერთ-ერთი მათგანი ინგლისური პრემიერლიგის დირექტორი პეტერ ლივერია, რომელმაც ევროპის პროფესიონალური საფეხბურთო ასოციაციებისა და ლიგების შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, დღესდღეობით ევროპულ ფეხბურთს უეფა მართავს და ამიტომაც ყველანი მის კანონებს უნდა დავექვემდებაროთ, მავანთა მიერ წამოწყებული საუბარი სამი ევროტურნირის მაგივრად ორის ჩატარებაზე ნაადრევი და ჯერჯერობით აბსურდულიაო. ასეთივე აზრისაა ბელგიის საფეხბურთო ლიგის დირექტორი ჟან მარი ფილიპსი: „თითქმის ყველა ლიგის წარმომადგენელს სურს, რომ გუნდები უეფაში დარჩნენ და თუ ვინმეს ფინასური მიზეზების გამო ეს არ უნდა, შეუძლია დატოვოს ეს ორგანიზაცია და NBA-ში გადავიდეს" — ნახევრად ხუმრობით აღნიშნა ფილიპსმა იმავე პრესკონფერენციაზე და დაამატა, კლუბები, რომლებიც სუპერლიგის შექმნაზე ოცნებობენ, რათა ჯიბეები გაისქელონ, გულშემატკივრებს ანგარიშს აღარ გაუწევენ და სავსებით შესაძლებელია, ფეხბურთი სატელევიზიო შეჯიბრება გახდესო.

მოკლედ, სუპერლიგის შექმნას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. რა და როგორ იქნება მომავალში, ამას სრულად თუ არა, ნაწილობრივ ლისაბონის შეხვედრის შემდეგ შევიტყობთ, რომელიც სავარაუდოდ 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება.

ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, რაფაელ მარტინ ვასკესი გერმანულ გუნდს „კარლსრუეს" ტოვებს, არადა იქ სულ სამი თვის მისულია. ეს ინფორმაცია თავად კლუბის გავრცელებული გახლავთ. „კარლსრუეს" ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ 33 წლის მრტინ ვასკესი, რომელიც მათთან მექსიკური „ატლეტიკო სელაიადან" გადავიდა, ვერ შეეწყო ახალ, გერმანულ გარემოს და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად სეზონის ბოლომდე დარჩენა მართებდა, ორმხრივი მოლაპარაკების თანახმად მიდის. „კარლსრუეში" იმედი ჰქონდათ, რომ მარსელის „ოლიმპიკსა" და მადრიდის „რეალში" ნათამაშევი მარტინ ვასკესი დორტმუნდის „ბორუსიაში" გადასული თომას ჰესლერის ფუნქციას შეასრულებდა.

**მექსიკაში**, იანვარში რვა ქვეყნის ნაკრები კონფედერაციათა თასისთვის შეეჯიბრება ერთმანეთს. ვინაიდან წელიწადის ამ დროს ბევრ ქვეყანაში საკლუბო შეჯიბრებები მიმდინარეობს, კლუბებს ხსენებული ტურნირი ხელს უშლით და ამიტომ მათ ფიფას საგანგებო თხოვნით მიმართეს. პასუხად ფიფამ განაცხადა, რომ ყაბულსაა თასის გათამაშების წინ მხოლოდ 48 საათით ადრე დართოს ფეხბურთელებს თავიანთ ნაკრებებთან შეერთების ნება. შეგახსენებთ, რომ აქამდე ეს ვადა 15 დღის ტოლი იყო. ხსენებულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთი, ბრაზილია, ბოლივია, აშშ, მექსიკა, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ოკეანიის რომელიმე წარმომადგენელი.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბმა, ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა" ცხრათვიანი თანამშრომლობის შემდეგ თანამდებობიდან დაითხოვა მწვრთნელი, რეი ჰარფორდი, რომელსაც დროებით იან დაუი შეცვლის. კლუბმა გაავრცელა განცხადება, სადაც წერია, რომ დაუი დაახლოებით ორი ტურის განმავლობაში უხელმძღვანელებს „ქუინზ პარკს", ამასობაში კი პასუხისმგებელი ხალხი ახალ მწვრთნელს მოძებნი. ლონდონის კლუბს ძალიან ძნელი დროება უდგას. გასულ სეზონში კინალამ პირველი ლიგიდანაც გავარდა, ახლა კი 24 გუნდს შორის ოცდამესამეა, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ჯერ ერთი გამარჯვებაც არ აქვს მოპოვებული.

**ხორვატი** რობერტ პროსინეჩკი გასულ შაბათს საოპერაციოში იწვა. მას ზურგის მკურნალობა დასჭირვებია. ახლა, 29 წლის ნახევარმცველის პალატაში გადაყვანის შემდეგ ამბობენ, რომ სარეაბილიტაციოდ, სულ მცირე, ექვსი კვირაა საჭირო. ზაგრების გაზეთ „ვეჩერნი ლისტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ექიმმა კრესიმირ ზუპანჩიჩმა თქვა: „საავადმყოფოში პაციენტს, ალბათ, ერთი კვირით დავიტოვებთ, შემდეგ კი აღდგენითი ხუთი კვირა დაიწყება". პროსინეჩკი გარდა იმისა, რომ ზოგადად ცნობილი მოთამაშეა, იმითაა უნიკალური, რომ გახლავთ პირველი კაცი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორი სხვადასხვა ქვეყნის სახელით გაიტანა გოლი. პირველად, 1990 წელს მან ეს შეძლო როგორც იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელმა, ახლახანს, 1998 წლის ივნისში კი ნამდვილი სამშობლოს, ხორვატიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში გამოიჩინა თავი. სხვათა შორის, პროსინეჩკიმ აგვისტოს მიწურულს განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელთან მიროსლავ ბლაჟევიჩთან უთანხმოების გამო მხოლოდ საკლუბო ფეხბურთშიღა იმოღვაწევებს.

ჰოლანდიური სააგენტოს ANP-ის ცნობით, ამ ქვეყნის მოქალაქე, მწვრთნელი ტიის ლიბრეგსტი ნიგერიის ნაკრებს ოთხი წლით, ახლა უკვე ნამდვილად, ჩაუდგება სათავეში. „მოლაპარაკებები დამთავრებულია — უთქვამს 57 წლის ლიბრეგსტს, რომელსაც თავის დროზე ჰოლანდიის ეროვნული გუნდიც კი ებარა — რაც შეეხება პირველ მატჩს, რომელიც ამ კვირის ბოლოს ნიგერიას ბურკინა ფასოს წინააღმდეგ უწევს (აფრიკის თასის შესარჩევში), მას უეჭველად ასისტენტს გადავაბარებ". ლიბრეგსტი ნიგერიაში დღეს უნდა ჩავიდეს, ოქტომბრის პირველ რიცხვებში კი კონტრაქტს უნდა მოაწეროს ხელი. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი თანამდებობაზე იუგოსლაველ, უფრო ზუსტად კი, სერბ ბორა მილუტინოვიჩს ცვლის.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „ბლექბერნ როვერსის" ჯან-ღონით აღსავსე თავდამსხმელი კევინ დევიდსი რაღაც უცნაურმა ინფექციამ ლოგინად ჩააგდო. დევიდსი ბლექბერნის გუნდში გასულ ზაფხულს 12,35 მილიონ დოლარად გადავიდა. როგორც კლუბის წყაროები ამბობენ, სნეულება არც ისე მსუბუქი ჩანს, როგორც ერთი შეხედვით ეგონათ.

შოტლანდიური „სელტიკის" მოთამაშე კრეიგ ბარლი ამბობს, რომ მისი თანაგუნდელების ერთი ნაწილი მოედანზე თავდადების ნაცვლად საექიმო კაბინეტში იმალება. გუშინ „სელტიკი" პორტუგალიურ „ვიქტორია გიმარაეშს" უეფას თასზე დაეჭიდა, ბარლის მწარე სიტყვა კი სწორედ ამ შეხვედრამდე 24 საათით ადრე მოედო მთელ გლაზგოს.

ჰოლანდიის ნაკრების მოთამაშე, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ამბობს, რომ თუ „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისური კლუბი, რომელშიც ის თამაშობს) მწვრთნელს, ჯონ გრემს თანამდებობიდან გაუშვებს, იგიც გუდა-ნაბადს აიყრის. გრემი 53 წლის კაცია. ის ალბათ, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავა სამუშაოდ. ამასთან დაკავშირებით 25 წლის ჰასელბაინკი, რომელიც ლიდსში 15 თვის წინ 2 მილიონ გირვანქად პორტუგალიური „ბოავიშტადან" გადავიდა, ამბობს: „ჯორჯის წასვლა ჩემთვის ძალიან ცუდი იქნება. ფაქტობრივად, ახალი გუნდის ძიება მომიწევს, რადგან სწორედ გრემი გახლდათ ის კაცი, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელისგან ნაკრების მოთამაშედ მაქცია. მის გარეშე ძალიან გამიჭირდება. მართალია, ლიდსი ძალიან მიყვარს და მასთან ბევრი კარგი საქმითა და მოგონებით ვარ დაკავშირებული, მაგრამ გრემის გარეშე გუნდი ვერაფერს მოიგებს, მე კი ტიტულების მოპოვება მინდა". თბილისელ გულშემატკივარს ეხსომება, რომ „ბოავიშტაში" თამაშის დროს მაშინ მხოლოდ ჯიმიდ წოდებულმა ჰასელბაინკმა „დინამოს" დიდი ანგარიშით დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანა.

გერმანული „კაიზერსლაუტერნის" მცველი, დაინელი მიქაელ შიონბერგი წლის ბოლომდე ველარ ითამაშებს, რადგან ფეხი მოიტეხა. შიონბერგმა ფეხი „ბოხუმის" გოლკიპერ თომას ერნსტთან შეჯახების დროს დაიშავა სერიოზულად და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში, საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა. „უკეთ ვარ და ვიმედოვნებ, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ მოედანს დავუბრუნდები" — განაცხადა დანიელმა, რომელიც საავადმყოფოდან შინ 10 დღის მერე წავა.

კოლუმბიელი აროლდ ლოსანო ესპანურ „ვალიადოლიდში" თამაშობს. ის ნახევარმცველია, მაგრამ ექვსი კვირით მაყურებლის როლს უნდა დასჯერდეს, ვინაიდან მყესები აქვს დაზიანებული. ლოსანომ მყესები სეზონის დაწყებამდე დაიზიანა, მაგრამ იფიქრა, მაინც ვითამაშებო და ორი კვირის წინ მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო, რითაც მდგომარეობა გაირთულა. საბოლოოდ საქმე ოპერაციამდე მივიდა. 26 წლის ლოსანო, როგორც გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე იყო.

**ჩეხეთი**. მე-7 ტური. დუკლა — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 0:1, ბანიკი — ბობი ბრნო 1:0, ოპავა — კარვინა 2:1, სლოვანი — ვიქტორია (პლზენი) 1:0, შმელი — იაბლონეცი 3:0, დრნოვიცე — სიგმა 0:0, სლავია — ჰრადეცი 1:0, ტეპლიცე — სპარტა 1:1. გათამაშებას 14 ქულით ლიდერობენ ტეპლიცე, სიგმა და დრნოვიცე.

**ბრაზილია**. მე-15 ტური. კორინტიანსი — სანტოსი 0:2, გუარანი — კურიტიბა 0:1, ბოტაფოგო — ვასკო და გამა 0:2, სან პაულო — ფლამენგო 0:0, ხუვენტუდი — პალმეირასი 3:6, პორტუგეზა — პონტე პრეტა 1:0, ატლეტიკო (პარანაენსე) — ბრაგანტინო 3:2, გრემიო — ამერიკა (ბელო ორიზონტე) 2:1, ატლეტიკო (მინეირო) — პარანა 3:0, სპორტ რესი — კრუზეირო 1:1, ვიტორია — ინტერნასიონალი 2:0, ამერიკა (ნატალი) — გოიასი 2:1. გათამაშებას 32 ქულით ლიდერობს კორინტიანსი, 1 ქულით ჩამორჩებიან პორტუგეზა და სანტოსი

**არგენტინა**. მე-8 ტური. რასინგი — ბოკა ხუნიორსი 1:1, ველესი — უნიონი 2:2, სან ლორენცო — როსარიო 4:0, ბელგრანო — ურაკანი 1:1, პლატენსე — ხიმნასია (ხუხუი) 1:3, არგენტინოს ხუნიორსი — ტალერესი 2:0, სოლონი — ფერო კარილ ოესტე 3:1, რივერ პლეიტი — ლანუსი 0:1, ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 4:1. 15 ქულით ლიდერობს ბოკა ხუნიორსი, მას 2 ქულით ჩამორჩება ველესი

**სლოვაკეთი**. მე-8 ტური. ნიტრა — კოშიცე 0:0, ინტერი (ბრატისლავა) — სპარტაკი (ტრნავა) 3:1, არტმედია — სლოვანი 0:2, კარამეტალი — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 0:2, ტაურისი — ოზეტა 1:1, ჰუმენე — ბარდეიოვი 1:0, რუჟემბეროკი — ბანიკი 2:1, ზილინა — ტატრანი 2:1. გათამაშებას 20 ქულით ლიდერობს სლოვანი, 1 ქულით ჩამორჩებიან კოშიცე და სპარტაკი.

**კვიპროსი**. მე-3 ტური. ანორთოსისი — კატოკოპია 7:0, ავაგორასი — ომონია 1:8, ეთნიკოსი — აპოლონი 6:1, ალკი — აეკი 5:4, ოლიმპიაკოსი — არისი 4:0, აპოელი — ნია სალამინა 3:0, აელი — ენოსისი 0:1. გათამაშებას 7 ქულით ლიდერობენ ანორთოსის, ომონია, აპოელი და ენოსისი

**პოლონეთი**. მე-10 ტური. სტომილი — პოლონია 1:0, ლეგია — რუხი (ხოჟუვი) 2:0, ვიძევი — ზაგლებიე 1:1, ლეხი — ოდრა 3:0, რუხი (რაძიონკოვი) — პოგონი 3:2, ამიცა — გურნიკი 0:0, გკს — ლოძი 1:1, ბელხატოვი — ვისლა 0:3. ჩემპიონატს 25 ქულით ლიდერობს ვისლა, 3 ქულით ჩამორჩება ლეგია.

**ხორვატია**. მე-7 ტური. ვლადოსტი — ოსიეკი 1:4, ვარტექსი — ზადარკომერსი 2:1, რიეკა — შიბენიკი 3:1, სლავენი — კროაცია 0:1, ზაგრები — ჰაიდუკი 3:1. გათამაშებას 19 ქულით ლიდერობს კროაცია. მას 5 ქულით ჩამორჩებიან ჰაიდუკი და ოსიეკი.

**უნგრეთი**. მე-9 ტური. დუნაფერო — ბვსც 1:1, ნიერშეგი — დებრენეცი 4:2, დიოშდიორი — კარულეტი 2:0, ვიდეოტონი — უიპეშტი 0:0, ვაშაში — შიოფოკი 0:0, ჰალადაში — მტკ 2:1, ფერენცვაროში — დიორეტო 1:1, ვაცი — ზალაეგერცეგი 2:2. გათამაშებას 22 ქულით ლიდერობს მტკ, 4 ქულით ჩამორჩებიან ფერენცვაროში და დიორ ეტო.

**რუმინეთი**. მე-8 ტური. პეტროლული — რესიტა 2:0, ნასიონალი — ასტრა 1:1, ქორესტა — უნივერსიტატია (კრაიოვა) 1:2, დინამო — უნივერსიტატია (კლუჟი) 8:0, ფარული — ოლიმპია 3:1, ჩაჰლაული — რაპიდი 0:2, ოცელული — ონესტი 3:0, გლორია — არჯესი 3:1, ბაკაუ — სტიაუა 0:0. გათამაშებას 22 ქულით ლიდერობენ დინამო და რაპიდი

**დანია**. მე-9 ტური. ვიბორგი — ოლბორგი 1:2, კოპენჰაგენი — ფრემადე 2:2, აბ — ჰერფოლგე 1:0, ვეილე — ლუნგბიუ 1:2, სილკებორგი — 0 93 2:0, ორჰუსი — ბრონდბიუ 1:3. გათამაშებას 21 ქულით ლიდერობს ოლბორგი, 1 ქულით ჩამორჩება აბ

**იუგოსლავია**. მე-8 ტური. სარტიდი — პარტიზანი 0:2, რადნიჩკი (კრაგუევაცი) — მილისიონარი 1:0, ზელეზნიკი — რადნიჩკი (ნისი) 4:1, სპარტაკი — ოფკ 3:4, ზემუნი — რადი 1:0, ბუდუჩნოსტი — პრიშტინა 0:0, ვოივოდინა — პროლეტარი 4:1, მოგრენი — ობილიჩი 0:0, ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი 2:0. გათამაშებას 24 ქულით ლიდერობს პარტიზანი, მას 4 ქულით ჩამორჩება ობილიჩი

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1964

## დენის ლოუ

# ფეხბურთის ანტიქრისტე

*გია ახვლედიანი*

ის სქოთი იყო. ჟინიანი, ავი და ენამწარე.

ასეთ დროს გაგახსენდებათ სქოთური ფეხბურთის იერსახე, მაგრამ დენისლოუ არ იყო ის, რაც თქვენ გაგახსენდებათ. დენის ლოუ სხვა იყო. თუმცა, ჩვენთვის ნაცნობი გამოთქმა „ეშმაკი სქოთი“, მის შემთხვევაშიც უნდა მოვიხმაროთ. სიტყვა „ეშმაკი“ მის მეტსახელში სხვა მნიშვნელობითაც არსებობდა — „ჟლალთმიანი ეშმაკი“.

ეს სახელი ირლანდიელებმა შეარქვეს, როცა მთლად ყმაწვილმა გლაზოში, სანაკრებო თამაშში გამოიჩინა თავი. და საერთოდ, ვარსკვლავებზე თუ მიდგება საქმე, სქოთებს არაფერი აქვთ დასამალებელი. ბილი ბრემნერი ჰყოლიათ, კენი დალგლიში, გორდონ სტრაჩანი, გრემ სუნესი... მაგრამ ლოუ პირველი იყო. პირველი და დღემდე განუმეორებელი, სხვა არცერთ სქოთს არ ღირსებია ამგვარი პატივი — ევროპის „ოქროს ბურთი“.

ის იყო სხარტი, მოქნილი და მახვილგონიერი, უფრო ტანხმელი, ბეჭებგანიერი, თითქმის წყლისფერი თვალები ჰქონდა. მხედველობით ვერ დაიკვეხნიდა. ამბობდნენ კიდეც, კონტაქტური ლინზებით თამაშობსო. გაჰქონდა საოცრად ჭკვიანური გოლები, ატანინებდა საოცრად ჭკვიანურ გოლებს. ლოუ მინდვრის შემოქმედი გახლდათ და თან კვიმატი კაცი იყო, მაგრამ მოედანზე მისგან საშინელებას ელოდნენ. წარმოუდგენელი წინათგრძნობა, ორიენტაცია, მოედნის და პოზიციის გრძნობა... გულშემატკივრებს ერთთავად მისკენ გაურბოდათ თვალი. თამაში სულ სხვა ადგილას იყო, — ფიქრი კი გასაქანს არ აძლევდა ხალხს: „სად არის ლოუ?“

მას ჰქონდა რაღაც ძველი ფორვარდებისა — აი, ტარანს რომ ეტყვიან ხოლმე და ორთაბრძოლებში მოურიდებელი და ხისტი იყო. ნერვების კვანძი, მოთამაშე, რომელიც გუნდს აანთებდა. და თან (ერთხელაც გავიმეოროთ) ჭკვიანი და სწრაფად მოაზროვნე, რბილი და მოქნილი, ხშირად უხეშიც, უზრდელიც, მაგრამ მხიარული. ერთი სიტყვით, სქოთი გახლდათ.

ლოუ უცნაურ სათამაშო თვისებებს აერთიანებდა. ასეთი სხვა არ იყო. ჯოჯოხეთური ჟინის და დიდი ოსტატობის ნაზავი.

დაბადებულა 1940 წელს სქოთ მეთევზეთა უპირველეს ქალაქში, აბერდინში. ბავშვობიდან ფეხბურთელი იყო. დაბადებულიყო ფეხბურთელად და თავის გზასაც ნახავდა, ისე როგორც საუკეთესო სქოთები — ინგლისს წავიდოდა. ბიჭი იყო, როცა ერთმა დიდმა, იმხანად არცთუ განთქმულმა კაცმა დაადგა თვალი. ის კაციც სქოთი იყო — დაბალი, მრისხანე და მძლავრი გონებისა. ბილ შენკლი ერქვა და პატარა, ლიგებში დაქვეითებული გუნდებს წვრთნიდა — „კარლაისლს“, „გრიმსბის“ მერე კი „ჰადერსფილდ თაუნს“. ეს მერე მოხდებოდა, რომ შენკლი „ლივერპულს“ ჩაუდგებოდა სათავეში და „შენკლის ეპოქა“ დაიწყებოდა.

ჩვიდმეტი წლის დენისმა ოდესღაც სახელოვან „ჰადერსფილდში“ (ამ კლუბის საჩემპიონო რეკორდი მხოლოდ 30-იან წლებში მოხსნა ჩეპმენის „არსენალმა“) დაიწყო თამაში და მოახერხა ის, რომ გუნდი I დივიზიონში დაებრუნებინა. უმაღლეს კლასში გამოჩენა „ჰადერსფილდმა“ და ლოუმ სენსაციით დაიწყეს — „აპტონ პარკზე“ „ვესტ ჰემს“ 5:1 მოუგეს! ლოუ გაზეთების გმირი შეიქნა. ლოუ ვარსკვლავად აღიარეს და ასე გაგრძელდა, სანამ ამ სქოთმა „ჰადერსფილდის“ უფროსობას არ გამოუცხადა — ხელფასი მეცოტავებაო. „ჰადერსფილდი“ ვერ გადაიხდიდა იმას, რასაც მისგან დენისი ითხოვდა. 1960 წელს კი განხორციელდა ინგლისური ფეხბურთისათვის გაუგონარი ტრანსფერი „ჰადერსფილდმა“, 74 ათას ფუნტად მიჰყიდა ლოუ „მანჩესტერ სიტის“. ბრწყინვალე სეზონი „მეინ როუდზე“ და კვლავ სატრანსფერო რეკორდი, 115 ათას ფუნტად „სიტიმ“ იტალიურ „ტორინოს“ გადაულოცა ლოუ...

სქოთთა ნაკრების ამბავი ხომ მოგეხსენებათ? მაშინაც, ლოუს ეპოქაში, ამ გუნდს ბევრი არაფერი ჰქონდა სატრაბახო. სანაკრებო თამაშები ხშირად ჩხუბითაც კი მთავრდებოდა. სკანდალები ტყდებოდა და დენისიც არ აკლებდა ხელს. მაგრამ ამის მიუხედავად, ის საერთაშორისო ვარსკვლავი იყო. მისი სახელი კიდით კიდემდე გავარდნილიყო. აკი მოხვდა კიდეც იმ მსოფლიო ნაკრებში ინგლისური ფეხბურთის 100 წლისთავის ზეიმზე რომ ეწვია „უემბლის“ მასპინძლებთან სათამაშოდ. ლოუმ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ინგლისმა მაინც 2:1 მოიგო.

ამასობაში კი ლოუ ბრიტანეთში დაბრუნებულიყო. უფრო მეტიც, ის მანჩესტერში თამაშობდა, მაგრამ არა „მეინ როუდზე“, არამედ „ოლდ ტრეფორდზე“. ქალაქში კლუბის გამოცვლა არცთუ მიღებული რამ არის ასეთ ადგილებში, მაგრამ სქოთს ამის ფიქრი არ ჰქონდა. „იუნაიტედის“ მენეჯერს მატ ბასბის დიდი გუნდის აღორძინება გადაეწყვიტა და ლოუც ამ საქმისთვის სჭირდებოდა.

ბასბიმ სხვაგვარად შეხედა ლოუს — მისი ტემპერამენტი, აგრესია და ჟინი იმგვარად მომართა, რომ დენისი მასშტაბურ კაცად აქცია მოედანზე.

60-იანი წლების შუახანები. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზეობის ხანაა. კონფლიქტებითა და შინაური ქიშპით კი მთლად წამხდარა სქოთთა ნაკრები, რომელიც „ჰარპდინ პარკზეც“ კი აგებს თამაშებს ევროპის მანჩანჩალა გუნდებთან. ამის მიუხედავად, ლოუ მაინც მიითვლის თავის სანაკრებო გოლებს და ინგლისელებსაც კი სჯის „უემბლიზე“.

„იუნაიტედში“ კი საუცხოო სამეული შეყრილა — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ლოუ, მსოფლიოს ჩემპიონთა ლიდერი ბობი ჩარლტონი და გენიალური ჯორჯ ბესტი — სამი ბრიტანული ქვეყნის შვილი, მძლავრი და ძრწოლვისმომგვრელი ტრიუმვატორი, რომელიც „უემბლიზე“ ამარცხებს „ბენფიკას“ და ჩემპიონთა თასს იგებს.

„აქ ომია საჭირო. ფეხბურთი, ომია, ცეცხლი და სიმწვავე. სხვანაირად, ეს თამაში მოასწყენი იქნებოდა“, — ეს სიტყვები დენის ლოუმ მაშინ წარმოთქვა, როცა პარიზში „ოქროს ბურთს“ გადასცემდნენ. კაცს უმაღლესი ჯილდო ეპყრა და სწორედ იმ დღეებში მიელო ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მოედანზე ატეხილი ჩხუბისთვის.

და ის საოცარი ფეხბურთელი იყო. იწონიდა 69 კილოგრამს და იყო ტარანი (ც). ვარსკვლავთა გუნდში, იქ სადაც თამაშობდა ბობი ჩარლტონი, რჩებოდა მებრძოლ ლიდერად, მთავარ გამაღიზიანებლად. შეეძლო თითქმის ყველაფერი და ჰქონდა ოცნება, ეთამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაშინ, როცა ახალგაზრდა იყო, ვერაფრით მოახერხა. 55-ჯერ გამოვიდა ნაკრებში და 30 გოლი გაიტანა. არცერთი მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამასობაში ახალი ეპოქა დაიწყო — 70-იანი წლები. 1973 წელს, სწორედ იმ დღეს, როცა ფეხბურთს გამოეთხოვა ბობი ჩარლტონი, დენის ლოუმ საკუთარი თავი „იუნაიტედის“ სატრანსფერო სიაში აღმოაჩინა! უკვე 33 წლის იყო — შეელიენ (მოიცათ „იუნაიტედი“ მალე გავარდება პირველი დივიზიონიდან და მას ბევრი აღარ უფიქრია იქვე, „სიტიში“ გადაბარგდა.

ამასობაში კი ბილი ორმონდის საუცხოო ნაკრებმა, სადაც ბრწყინავდნენ ბრემნერი, ჯიმი ჯონსტონი და პიტერ ლორიმერი, ბარიერი დაძლია და გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა. ეს საუცხოო გუნდი ბურთების უარესმა სხვაობამ ჩატოვა ჯგუფში. 14 ივნისს კი დორტმუნდის, „ვესტფალენშტადიონზე“, სქოთთა პირველ ჯგუფურ შეხვედრაში ზაირელთა წინააღმდეგ მეცხრამეტე ნომრით გამოვიდა დენის ლოუ. გოლი არ გაუტანია. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი თამაში მსოფლიო ჩემპიონატებზე. დარჩენილ ორ შეხვედრაში შეცვლაზეც არ შემოუყვანიათ.

ახლა წასვლაც შეიძლებოდა, და როგორც გულმხურვალედ დაწერა ერთმა მოკალმემ:

„ის ფეხბურთის ანტიქრისტე იყო. ო, ლოუ ნაღდი ეშმაკი ბრძანდებოდა... მაგრამ ის დიადი ეშმაკი გახლდათ!“



**დენის ლოუ**

დაიბადა 1940 წლის 24 თებერვალს შოტლანდიის ქალაქ აბერდინში
ნახევარმცველი
წონა: 69 კგ.
სიმაღლე: 1,76 სმ.
კლუბები: „ჰადერსფილდი“ (ინგლისი, 1856-60), „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი, 1960-61), „ტორინო“ (იტალია, 1961-62), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი, 1962-73), „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი, 1973-75)
ტიტულები: ინგლისის ჩემპიონი — 1965, 1967; ინგლისის თასის მფლობელი — 1963; ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1968
ნაკრებში 55 მატჩში შეაგდო 30 გოლი (1959-74)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი (შოტლანდია) — ბეითარი (ისრაელი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. II ტური

30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი (ჰოლანდია) — პორტუ (პორტუგალია) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — კროაცია (ხორვატია) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — იუვენტუსი (იტალია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გალათასარაი (თურქეთი) — ბილბაო (ესპანეთი) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ინტერი (იტალია) — შტურმი (ავსტრია) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სპარტაკი (რუსეთი) — რეალი (ესპანეთი) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — ბრონდბიუ (დანია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბაიერნი (გერმანია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| არსენალი (ინგლისი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| დინამო (უკრაინა) — ლანსი (საფრანგეთი) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰიკ (ფინეთი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვარტექსი (ხორვატია) — რუდარი (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ჰაკა (ფინეთი) — პანიონისი (საბერძნეთი) | (5,0-1,1) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მტკ (უნგრეთი) — რიდი (ავსტრია) | (3,1-1,25) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| კოპენჰაგენი (დანია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,01-15,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მალიორკა (ესპანეთი) — ჰარტსი (შოტლანდია) | (1,01-15,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ჩელსი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| გენკი (ბელგია) — დუისბურგი (გერმანია) | (1,5-2,0) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სპარტაკი (სლოვაკეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (15,0-1,01) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალერენგა (ნორვეგია) — რაპიდი (რუმინეთი) | (1,4-2,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| იაბლონეცი (ჩეხეთი) — აპოლონი (კვიპროსი) | (1,25-3,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ნიუკასლი (ინგლისი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ლაციო (იტალია) | (2,0-1,5) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| მაკაბი (ისრაელი) — პსჟ (საფრანგეთი) | (1,8-1,6) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ბრაგა (პორტუგალია) — ლიეპაია (ლატვია) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ცსკა (უკრაინა) | (—-25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XI ტური

30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი — ბერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**151. გიორგი ჭიაურელი.** თბილისი. ინჟინერ-ეკონომისტი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. შალვა კაკაბაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ვიტალი დარასელია, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ზაროდინუ გრიშინი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, რევაზ მახარაძე, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

**152. ავთო მარგალიტაძე.** ფოთი. ინჟინერი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ფირუზ კანთელაძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**153. ირაკლი ნიკოფოროვი.** ფოთი. სტუდენტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. გიორგი ქინქლაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: თემურ სტეფანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**154. გიორგი ხუხუნი.** ფოთი. ეკონომისტი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**155. გრიგოლ ქუჩიბია.** ფოთი. ჟურნალისტი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. დავით ყიფიანი, 4. შოთა იამანიძე, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**156. კოტე ბერაია.** ფოთი. ინჟინერი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მანუჩარ მაჩაიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**157. ომარ ჯოხაძე.** რუსთავი. ექსპერტი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**158. მამუკა ქვანტალიანი.** მარტვილი. ჟურნალისტი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია

**159. ალექსანდრე კიზირია.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**160. როლანდ კიზირია.** თბილისი. მწვრთნელი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**161. ომარ ჭუმბურიძე.** წყალტუბო. პედაგოგი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, შოთა შავგულიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**162. ჰამლეტ მიქავა.** თბილისი. ინჟინერი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბოირს პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**163. თემურ ქვალინიძე.** თბილისი. სცენის მემონტაჟე. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**164. შალვა ბაბუნაშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. უშანგი სალდაძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**165. ზაზა ლილუაშვილი.** თერჯოლა. ინჟინერ-მექანიკოსი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**166. ავთანდილ ნაჭერავა.** ქუთაისი. ინჟინერ-ტექნიკოსი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**167. ზურა გონაშვილი.** რუსთავი. ჟურნალისტი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**168. მზია გვილავა.** თბილისი. პროვიზორი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. რამაზ შენგელია, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**169. გიორგი გვილავა.** ქუთაისი. პედაგოგი. 71 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. უშანგი სალდაძე, 3. დუკა რამიშვილი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**170. ჰამლეტ მეფისაშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 68 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**171. დავით ჭეიშვილი.** ქუთაისი. ინჟინერ-ეკონომისტი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**172. ბაქარ ჭეიშვილი.** ქუთაისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. რევაზ ძოძუაშვილი, 5. თენგიზ სულაქველიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

**173. კობა ბუბაშვილი.** ზესტაფონი. ეკონომისტ-ბუღალტერი. 42 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტირკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**174. არჩილ ჩხეიძე.** თბილისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. შოთა იამანიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**175. იუზა შუშლავა.** ხონი. ინჟინერი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. შოთა იამანიძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**176. ავთანდილ კოტიბაძე.** ქუთაისი. ინჟინერი. 48 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**177. დათო ნაცვლიშვილი.** ქუთაისი. იურისტი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ჯემალ ზეინკლიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**178. ავთანდილ ბუსხრიკიძე.** ქუთაისი. იურისტი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**179. თენგიზ კოტიბაძე.** ქუთაისი. მშენებელ-ინჟინერი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**180. კახაბერ მეფისაშვილი.** თბილისი. ექიმი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. რამაზ შენგელია, 4. სლავა მეტრეველი, 5. გაიოზ ჯეჯელავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, იბრაგიმ სარჯველაძე, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი ______
გვარი ______
ასაკი ______
პროფესია ______
მისამართი ______

# ხვალ მერვე ჩემპიონატს ვიწყებთ!

ხვალ დაიწყება 1998-99 წლის საქართველოს მერვე ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. წლეულს პირველობაში უჩვეულოდ ცოტა, ცხრა გუნდი ჩაებმება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ წინა სეზონში ცამეტმა გუნდმა იასპარეზა, ადვილად მივხვდებით, რომ აქტუალური პრობლემა, ბრძოლა არსებობისათვის, კვლავაც კლუბთა მესვეურების მთავარ საფიქრალად რჩება.

აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ფედერაციის მიერ წინასწარ შეგულებული ათი გუნდიდან ერთი, არმიის სპორტული კლუბი ზედ ჩემპიონატის დაწყებამდე მოვისაკლისეთ. ამიტომაც იყო, რომ ფედერაციის თავკაცებს წინასწარ შედგენილ კალენდარში იძულებითი ჩარევა მოუხდათ და ახალი, ცხრაგუნდიანი კალენდარი ჟურნალისტებს ახლაღა გვაახლეს თავად ფაქტი, რომ გულშემატკივარი წლეულს ასკ-ს ვერ იხილავს, ვფიქრობთ, დალხინებული ცხოვრებით არ უნდა იყოს გამოწვეული, თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ ამ კლუბის ყოფნა-არყოფნას, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზე რაიმე გავლენა მოეხდინა, მით უფრო, რომ ზაზა ზამთარაძის პერსპექტიული, მებრძოლი გუნდი, უეჭველია, ჩემპიონატს თავისებურ ხიბლს შემატებდა.

იგივე უნდა ითქვას ქუთაისის გუნდზეც. უპრეცენდენტო შემთხვევაა, რომ წლეულს იმერლები თბილისს არ ეწვევიან, რაც მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ. გუნდს, რომელიც ზედიზედ ორ ჩემპიონატს ბოლომდე ვერ ჩაამთავრებს, უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმება. ქართული კალათბურთის განვითარებისთვის შეტანილი დიდი წვლილის მიუხედავად, ფედერაციამ ქუთათურებს უნდობლობა გამოუცხადა, ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა კარი და სამართლიანადაც. ასე რომ, მომავალში იმერლებს მეტი სიფხიზლე მართებთ, თუ უნდათ, რომ მათ მხარეში კალათბურთმა კვლავაც იარსებოს. უკვე დროა, კონკრეტული ნაბიჯები გადადგან და საქმე აკეთონ, ვისაც კი ეს ხელეწიფება.

სავარაუდოა, რომ მონაწილე გუნდების რიცხვის კლების კვალობაზე ეროვნული ჩემპიონატის საერთო დონე შესამჩნევად გათანაბრდება. თუ შარშან „მერანი" კონკურენციას ვერავის უწევდა და მასთან თამაშს ნებისმიერი მეტოქე უფრო ვარჯიშად მიიჩნევდა, წლეულს ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რამეთუ ხელწამოსაკრავი გუნდი ჩემპიონატში აღარ გვეყოლება და თითოეულს ბოლომდე ძალუძს ბრძოლა. ალბათ, ესეც დამატებით ინტრიგად უნდა იქცეს, თუმცა ისე არ გაიგოთ, დონეების გათანაბრება ჩემპიონატის საერთო, სათამაშო კლასის ამაღლებას მოასწავებდეს. პირიქით, ამ მხრივ შესაძლოა უფრო სავალალო სურათიც მივიღოთ, რაც საქართველოდან მოთამაშეების მასობრივ გადინებასთან პირდაპირ კავშირშია. ვისაც კი სადმე წასასვლელი გამოუჩნდა, უკლებლივ ყველამ დატოვა ქვეყანა. ჰოდა, რა გასკვირია, რომ პირველობის საშუალო ასაკი ერთიორად გაახალგაზრდავდება და ახალ სახელებსაც წარმოაჩენს.



მერვე ეროვნულში მონაწილე კლუბებს, ბუნებრივია, საკუთარი ამბიციებიც გააჩნიათ. თუ ზოგი გუნდი კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და ძალღონეს არ დაზოგავს, რათა მიზანს ამჯერად მაინც მიაღწიოს, მავანთათვის ოთხეულში მოხვედრაც დიდ პატივად უნდა ჩაითვალოს. განაცხადებს თვალი რომ გადავავლოთ, შევამჩნევთ, რომ პირველობისთვის ჭიდილი პოტენციურად 4-5 გუნდს ძალუძს. აქედან გამომდინარე, პლეი ოფის სერიაში შესაღწევად უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლებს უნდა ველოდოთ.

საერთოდაც, წლევანდელი პირველობა სულ მთლად ახლებური სისტემით ჩატარდება, რაც, თავისთავად, გულშემატკივარისთვის სასიამოვნო სიახლეა.

დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონატი ოთხ წრედ გაიმართება. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული გუნდი მოწინააღმდეგეს ამდენჯერვე დაუპირისპირდება.

საგულისხმოა, რომ ჩემპიონატის მატჩების დაძაბვის მიზნით ფედერაციელებმა ახალ ხერხს მიაგნეს და ორ მეტოქეს შორის წლიურ ეტაპებზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით უკეთ მოასპარეზე გუნდი პლეი ოფში უპირატესობით შევა.

ნახევარფინალები შესაბამისად სამ და ოთხ მოგებამდე გასტანს, ფინალი კი კვლავაც სამ მოგებამდე გაგრძელდება.

ფედერაციის მიერ რუსთავს მივლინებული საგანგებო კომისია იმასაც გაარკვევს, შეუძლია თუ არა ამ ქალაქს ჩემპიონატის თამაშების მასპინძლობა. თუ „აზოტს" ამის ნება დართეს, პირველობაში მონაწილე ერთადერთი არადედაქალაქური კლუბი შეეცდება, ერთგული ქომაგები შინაც გაახაროს.

მოკლედ, კარსმომდგარ პირველობას დებულება ნამდვილად არ დაეწუნება. ალბათ, ყველაფერი ხანგრძლივი სჯა-ბაასის შედეგად გადაწყდა და ფედერაციაც ყველა ღონეს იხმარს, რათა დებულების თითოეული პუნქტი ზედმიწევნით შესრულდეს, ამ სისტემის ეფექტურობას კი თავად ჩემპიონატის მსვლელობა დაგვანახებს.

მონაწილეებსაც, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდებათ. ჩვენს კალათბურთში ჩახედული გულშემატკივარი ყველა მათგანს კარგად იცნობს, იცის, ვის რა შეუძლია და ვისგან რას უნდა ელოდოს.

ჰოდა, ხვალამდე რაღა დარჩა, ერთი დღეც და ყველა კითხვას კონკრეტული პასუხი გაეცემა.

**გიორგი ბიძაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი — მონაწილენი

### ვითა (თბილისი)

განაცხადი ჯერ არ წარუდგენია

### აზოტი (რუსთავი)

| | | |
|---|---|---|
| ზაზა გაბისონია | 15.02.73 | 185 |
| ლაშა ბაბიაშვილი | 24.12.82 | 200 |
| მიხეილ ბერუაშვილი | 21.05.70 | 206 |
| არჩილ ქლენტი | 11.04.75 | 182 |
| ივანე გოგოლაძე | 20.03.77 | 195 |
| ლევან წიკლაური | 01.04.77 | 200 |
| ლევან ჩაჩუა | 28.06.78 | 192 |
| ილია კოჭლამაზაშვილი | 29.01.75 | 180 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 11.01.73 | 205 |
| რამაზ გოგობერიშვილი | 25.09.74 | 194 |
| ბესარიონ ტაბაღუა | 01.02.81 | 200 |
| ლევან ჯიმშელეიშვილი | 27.09.77 | 195 |
| გოჩა ბარამიძე | 26.08.73 | 180 |
| იური დანელიანი | 15.03.82 | 200 |

*მთავარი მწვრთნელი: ოთარ ხმელიძე*
*მწვრთნელი: ამირან ხაჩიძე*

### დინამო (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| ირაკლი მაისურაძე | 01.01.76 | 188 |
| გიორგი ნიკოლაძე | 15.04.81 | 187 |
| გიორგი ჭყონია | 16.07.79 | 190 |
| ლუკა შანიძე | 13.05.82 | 199 |
| ვანო მეჭურჭლიშვილი | 16.04.81 | 200 |
| გურამ ვაშაკიძე | 24.07.68 | 200 |
| რამაზ რაზმაძე | 06.01.68 | 202 |
| თემურ მანველიშვილი | 15.05.83 | 204 |
| შალვა ხეცურიანი | 04.09.85 | 195 |
| ლაშა ასოიშვილი | 19.09.83 | 197 |
| ვახტანგ უჩუმბეგაშვილი | 1980 | 198 |
| მოთა აზვლედიანი | 20.03.82 | 194 |
| ლევან წიკლაური | 01.04.1977 | 200 |
| გიორგი ყველაშვილი | 19.01.83 | 202 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 30.07.82 | 205 |
| ზურაბ სანიკიძე | 05.05.85 | 205 |

*მთავარი მწვრთნელი: ლევან მოსეშვილი*
*მწვრთნელი: ზაზა ცაგარეიშვილი*

### სდასუ (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| გიგი ხარაძე | 1975 | 205 |
| გურამ ახობაძე | 1977 | 184 |
| თამაზ გიგაური | 1974 | 194 |
| დიმიტრი ორჯონიკიძე | 1977 | 189 |
| ლადო აბულაძე | 1976 | 193 |
| გიორგი ჩხეიძე | 1973 | 190 |
| ლევან ქევხიშვილი | 1973 | 203 |
| ლექსო არჩვაძე | 1981 | 187 |
| ნიკა ქურდიანი | 1982 | 197 |
| ზურაბ გულხადარაშვილი | 1981 | 196 |
| კახა გიგაშვილი | 1976 | 200 |
| აკაკი მოისწრაფიშვილი | 1977 | 186 |

*მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ კანდელაკი*
*მწვრთნელი: პავლე არჩვაძე*

### თსუ (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| ოდისეი დიმიტრიადი | 1978 | 189 |
| ირაკლი მშვილდაძე | 1980 | 180 |
| ლევან მგალობლიშვილი | 1978 | 195 |
| მამუკა დოლიძე | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | 1983 | 210 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 197 |
| ირაკლი გელაშვილი | 1979 | 196 |
| ირაკლი ცაგარეიშვილი | 1978 | 198 |
| არჩილ ხელაშვილი | 1972 | 200 |
| გოჩა არსიაშვილი | 1976 | 197 |
| გოჩა წოწელია | 1977 | 196 |
| ირაკლი ქარჩავა | 1981 | 190 |

*მთავარი მწვრთნელი: ოთარ ქორქია*
*მწვრთნელი: ნუგზარ მარკოიშვილი*

### მაკაბი (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე ფერიაშვილი | 23.01.67 | 205 |
| მალხაზ ანდღულაძე | 20.08.69 | 193 |
| დავით ტალაბაძე | 10.09.67 | 200 |
| მიხეილ ხუხაშვილი | 26.01.69 | 191 |
| სიმონ დავარაშვილი | 1975 | 189 |
| მერაბ ნაცვლიშვილი | 1969 | 192 |
| გიორგი მჭედლიშვილი | 20.02.81 | 200 |
| ზურაბ პაპასკირი | 13.06.79 | 196 |
| ო. ჩხაიძე | 1979 | 189 |
| მ. ფიცხელაური | 15.02.76 | 206 |
| ბ. რიჟინაშვილი | 1981 | 190 |
| ზურაბ ხუხაშვილი | 07.09.82 | 185 |
| გ. ბაბალაშვილი | 20.06.79 | 175 |

*მთავარი მწვრთნელი: ვაჟა მხეიძე*
*მწვრთნელი: მიხეილ ხუხაშვილი*

### სტუ (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| სანდრო მიქაძე | 12.01.81 | 192 |
| დათო მოისწრაფიშვილი | 01.04.79 | 191 |
| კოტე ტუღუში | 03.06.84 | 191 |
| გიორგი ლოსაბერიძე | 27.01.82 | 198 |
| შალვა ცხვედიანი | 15.04.70 | 200 |
| რევაზ ნაცვლიშვილი | 28.05.80 | 197 |
| ბექა ნოზაძე | 13.01.79 | 203 |
| გიორგი ჩავლეიშვილი | 26.01.85 | 199 |
| ვასილ ოთიურიძე | 27.04.76 | 202 |
| ვახტანგ მინაშვილი | 01.02.79 | 201 |
| ვლადიმერ სუხიშვილი | 27.12.79 | 205 |
| ნიკო ჩერქეზიშვილი | 1964 | 180 |

*მთავარი მწვრთნელი: თამაზ ოქრუაშვილი*
*მწვრთნელი: მერაბ ცირეკიძე*

### შევარდენი (თბილისი)

| | | |
|---|---|---|
| კახა მაჭავარიანი | 1972 | 189 |
| მალხაზ ღვინეფაძე | 1960 | 193 |
| მ. ჩალი | 1979 | 192 |
| დავით ჩარგეიშვილი | 1978 | 185 |
| დ. ცაგარეიშვილი | 1971 | 193 |
| ირაკლი მესხი | 1976 | 188 |
| ლევან არსიაშვილი | 1976 | 196 |
| ს. ტაბატაძე | 1981 | 185 |
| გიორგი სურმავა | 1979 | 189 |
| დავით ასტამაძე | 1984 | 193 |
| გია კაზანჯიაინი | 1976 | 187 |

*მთავარი მწვრთნელი: გივი კოშკელოვი*

### კოლხა (სოხუმი)

| | | |
|---|---|---|
| ლაშა არველაძე | 1979 | 182 |
| ლევან ქარუმაძე | 1979 | 196 |
| ლევან ვაშაკიძე | 1978 | 197 |
| დავით უგრეხელიძე | 1982 | 208 |
| ირაკლი კეიდია | 1982 | 204 |
| ვანო აბულაძე | 1981 | 206 |
| ანატოლი ბერიშვილი | 1982 | 189 |
| ვახტანგ ქვილითაია | 1979 | 200 |
| დავით კვაჭაძე | 1981 | 197 |
| რეზო თოდუა | 1981 | 192 |
| გოგიტა ბერია | 1979 | 198 |
| ირაკლი ძიძიგური | 1979 | 200 |
| ერასტი ფენდერავა | 1983 | 192 |

*მთავარი მწვრთნელი: ვაჟა კვარაცხელია*
*მწვრთნელი: მამია ტუღუში*

## საქართველოს VIII ჩემპიონატის კალენდარი. I წრე

**I ტური**

1 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| კოლხა — აზოტი | 15.00 |
| დინამო — შევარდენი | 17.00 |

2 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| სდასუ — სტუ | 15.00 |
| თსუ — მაკაბი | 17.00 |

**II ტური**

6 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| შევარდენი — ვითა | 15.00 |
| სტუ — კოლხა | 17.00 |

7 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| თსუ — სდასუ | 15.00 |
| მაკაბი — აზოტი | 17.00 |

**III ტური**

11 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| მაკაბი — შევარდენი | 15.00 |
| სდასუ — ვითა | 17.00 |

12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| დინამო — კოლხა | 15.00 |
| თსუ — სტუ | 17.00 |

**IV ტური**

16 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| სდასუ — აზოტი | 15.00 |
| კოლხა — თსუ | 17.00 |

17 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| სტუ — მაკაბი | 15.00 |
| ვითა — დინამო | 17.00 |

**V ტური**

22 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| შევარდენი — სტუ | 15.00 |
| თსუ — ვითა | 17.00 |

23 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| დინამო — აზოტი | 15.00 |
| მაკაბი — კოლხა | 17.00 |

**VI ტური**

28 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| კოლხა — შევარდენი | 15.00 |
| ვითა — მაკაბი | 17.00 |

29 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| სდასუ — დინამო | 15.00 |
| თსუ — აზოტი | 17.00 |

**VII ტური**

3 ნოემბერი

| | |
|---|---|
| კოლხა — სდასუ | 15.00 |
| ვითა — აზოტი | 17.00 |

4 ნოემბერი

| | |
|---|---|
| შევარდენი — თსუ | 15.00 |
| სტუ — დინამო | 17.00 |

**VIII ტური**

9 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აზოტი — შევარდენი | 15.00 |
| ვითა — სტუ | 17.00 |

10 ნოემბერი

| | |
|---|---|
| სდასუ — მაკაბი | 15.00 |
| დინამო — თსუ | 17.00 |

**IX ტური**

15 ნოემბერი

| | |
|---|---|
| შევარდენი — სდასუ | 15.00 |
| მაკაბი — დინამო | 17.00 |

16 ნოემბერი

| | |
|---|---|
| კოლხა — ვითა | 15.00 |
| სტუ — აზოტი | 17.00 |

**ჩემპიონატს მოემსახურებიან მსაჯები:**

გია მოლოდინაშვილი (თბილისი)
ლაშა თოიძე (თბილისი)
დავით ბერეკაშვილი (ქუთაისი)
ზურაბ აბაშიძე (სამტრედია)
დავით ანდრიაძე (სამტრედია)
ალექსანდრე როსტომაშვილი (თბილისი)

**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი:**

ნოდარ დარახველიძე (სოხუმი)

**მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე:**

მურმან ქურიძე (თბილისი)

# ხმლით გაკაფული გზა

იმ დღეს ნუგზარ ასათიანთან მისი მეგობრები, ძველი თანაგუნდელები და მწვრთნელები მივიდნენ. თხოვეს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მძიმე ბრძოლები გველის, შენი დახმარება გვჭირდება, შენი მკლავის ძალა, ცოდნა და გამოცდილება დიდ შეღავათს გაგვიწევსო. ნუგზარი უარზე იყო. მერე ერთხანს ჩაფიქრდა. კედელზე დაკიდებულ ხმალს თვალი შეავლო.

მაშინ, ის მეგობარ-თანაგუნდელ-მწვრთნელთა „დელეგაცია“ რომ მოულოდნელად შინ მიადგა, ნუგზარ ასათიანი 35 წლის იყო. ალბათ იფიქრა, რაღა დროს ჩემი ფარიკაობა და შეჯიბრებაში გამოსვლააო. ხმალს ჟანგი მოდებოდა და დაბლაგვებული იყო. რამდენიმე წელი გასულიყო, რაც ამ ხმალის ელვარება აღარ ენახათ ფარიკაობის მოყვარულთ.

იმ ხმლით ნუგზარ ასათიანი, 1952-1959 წლებში თბილისის „ბურევესტნიკის“ ღირსებას იცავდა; 1960-1966 წლებში „დინამოს“ სახელით იბრძოდა; იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელმაც 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში 1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ოქროს, 1962 და 1963 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში ვერცხლის, ხოლო 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა; იყო სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის მეორე (1962) და საერთაშორისო მეგობრულ-სპორტული თამაშების მესამე პრიზიორი (1966), სსრ კავშირის ჩემპიონი (1962) და ოთხგზის თასის მფლობელი.

რა თქმა უნდა, ნუგზარ ასათიანს მედლების ასეთი ბრჭყვიალა კოლექციის გამო თავის დროზე ჯერ საერთაშორისო, მერე კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს, რაც სსრ კავშირის ათლეტთა ღვაწლის უმაღლესი დაფასება გახლდათ.

თუ საქართველოს მოფარიკავე სპორტსმენთა ისტორიას გადავავლებთ თვალს, მათ



ნუგზარ ასათიანი და კაროლა მანჯაროტი

რიგში კარგ მებრძოლთ, ისეთ მებრძოლთ, რომელთაც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონატების მედლები დაუმსახურებიათ, სამწუხაროდ თითზე ჩამოსათვლელად თუ დავინახავთ. მათ შორის ესოდენ აღზევებულთა შორის, როგორც ჭეშმარიტად სპორტის კაშკაშა ვარსკვლავი, ნუგზარ ასათიანიც წარმოგვიდგება.

მართლაც ფრიად თვალისმომჭრელად ელვარებს მის მიერ სპორტულ სარბიელზე დასაკუთრებული „ოქრო-ვერცხლი“.

ქართველი მოფარიკავის ბასრი ხმალი ბევრ ასპარეზობაში აელვარებულა, მაგრამ ნუგზარ ასათიანი თავის მრავალ გამარჯვებათა შორის, ბუნებრივია, ოლიმპიური საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გზის გაკაფვას გამოარჩევს. რატომაც არა, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ხომ ყველა სპორტსმენის ოცნება და ჭეშმარიტი ათლეტის უმთავრესი მიზანია, რომლის მიუღწევლობა, რაგინდ თვალისმომჭრელად ელვარებდეს მისი სხვა ჯილდოები, მაინც უგვირგვინო სპორტული კარიერა იქნება.

„საოცარი რამ არის ოლიმპიური თამაშები,— წერდა ნუგზარ ასათიანი თავის წიგნში, „მოფარიკავის ჩანაწერები“— იგი თავისი ხასიათით არც ერთ სხვა შეჯიბრებას არა ჰგავს. დიდი პატივია უკვე თვით ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება, რომ არაფერი ვთქვათ გამარჯვებაზე. ჩვენ ტოკიოში მხოლოდ ოლიმპიადის ოქროს მედლებისთვის ჩავედით. არა ვმალავდით ამ სურვილს. კარგია თავმდაბლობა, მაგრამ თავი არც სხვას უნდა დააჩაგვრინო. ასეთივე პრეტენზია ჰქონდათ, და არც თუ უსაფუძვლოდ, პოლონელ და უნგრელ ხმლით მოფარიკავეებსაც. ეს იყო გაუგონარი დაძაბულობისა და მძაფრი კონკურენციით აღსავსე ტურნირი. ამ ბრძოლას მეტი სიმწვავე შემატა იტალიელთა მოულოდნელმა ჩარევამ საპრიზო ადგილების განაწილებაში. მოდი და ამის შემდეგ ერწმუნე პროგნოზებს. მოხდა ისე, რომ ფინალში სწორედ ჩვენ და იტალიელები შევხვდით.

იტალიელები ომამდე მსოფლიო ფარიკაობის აღიარებული ლიდერები იყვნენ. ომის შემდგომ წლებში მათ ერთი ხანობა კვლავ ვხედავდით უძლიერესთა შორის. თუ რა მოხდა ამის შემდეგ, საკმაოდ რთული პრობლემა გახლავთ. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ იტალიელებმა ევროპაში პირველობა სხვა ქვეყნებს გადაულოცეს. ეს განსაკუთრებით ითქმის იტალიელ ხმლით მოფარიკავეებზე. ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ საბჭოთა, პოლონელ, უნგრელ და ფრანგ მუშკეტერებს. ტოკიოს ოლიმპიადის წინ იტალიის ხმლით მოფარიკავეთა გუნდში კალარეზეს გარდა თითქმის არ იყვნენ მსოფლიო კლასის სპორტსმენები. აი, რატომ აფასებდნენ ასე თავშეკავებულად მათ შანსებს გამოცდილი სპეციალისტები. იტალიელებს „აოცებდათ“ ასეთი შეფასება და, ბუნებრივია, ძალა არ დაუზოგავთ ამ პროგნოზის გასაბათილებლად. მათ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს უნგრელები. ახლა უნდა გადაელახათ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა გუნდის წინააღმდეგობა, რის შემდეგაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ იზეიმებდნენ ოლიმპიურ გამარჯვებას. განსაკუთრებით საშიში იყო იტალიელთა ლიდერი კალარეზე. იგი ქარივით დაქროდა, ზედიზედ ამარცხებდა კონკურენტებს. უძლიერესი გუნდური მებრძოლის რეპუტაცია მან სავსებით გაამართლა ჩვენებთან შეხვედრაში. ოთხი ბრძოლიდან კალარეზემ ოთხივე მოიგო (!). დამარცხებულთა შორის ვიყავი მეც. მაგრამ ერთი მებრძოლი, რაგინდ ძლიერადაც არ უნდა გამოდიოდეს, მეტს ვერ მოიგებს. კალარეზემ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, მაგრამ ის სასწაულმოქმედი არ იყო.

რაც შეეხება საბჭოთა ხმლით მოფარიკავეთა გუნდს, იგი არასოდეს არ მდგარა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატებში მუდამ ახლო იყო სანუკვარ მიზანთან. თუ რაპირითა და დაშნით მოფარიკავე საბჭოთა ოსტატები ამ დროისთვის მსოფლიოში უძლიერესნი იყვნენ, ახლა ჩვენც გამარჯვების რეალური შესაძლებლობა მოგვეცა. ადვილი გასაგებია, რა თავდაუზოგავად ვიბრძოდით ოლიმპიადის ფინალში.

უკანასკნელი შეხვედრის წინ ჩვენ მინიმალური ანგარიშით 8:7 ვიგებდით. ბოლო ბრძოლის მოგების შემთხვევაში ოლიმპიური ოქროს მედლები საბჭოთა ხმლით მოფარიკავეთა კუთვნილება გახდებოდა. ეს ბრძოლა მე უნდა ჩამეტარებინა. იტალიელი უხერხული მეტოქე გამოდგა. იგი უარყოფდა ბრძოლის კლასიკურ მანერას, მოულოდნელ გაგრძელებებს ირჩევდა, იბრძოდა ძალზე სწრაფ ტემპში. იმდენად ვღელავდი, რომ შეხვედრის მსვლელობა დაწვრილებით აღარ მახსოვს. მეგობრები მეუბნებოდნენ, ბრძოლა ლამაზი და დაძაბული იყოო. სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ვიცი, წუთითაც არ მქონია მოსვენება.

და აი, ბრძოლის ბოლო აკორდიც. ჩვენი გუნდის წევრები სარბიელზე გადმოცვივდნენ, მეხვევიან, მილოცავენ. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ვიყურები მოწინააღმდეგისაკენ. მას საფარიკაო ნიღაბი მოუხსნია, უსმენს თანაგუნდელების დამამშვიდებელ სიტყვებს, თვალები კი ცრემლით აქვს სავსე. მე მესმის მისი, მინდა მივუახლოვდე, ხელი ჩამოვართვა... მაგრამ არა ღირს. ასეთი წუთები მეც გამომიცდია და მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ამ დროს სპორტსმენს არავის დანახვა არ უნდა...



ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი... რამდენჯერ მიოცნებია ამ უდიდეს პატივზე ბავშვობაში, რა მიუწვდომლად მეჩვენებოდა იგი. ამიტომ ტოკიოს ოლიმპიადა საუკეთესო ფურცელია ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში“.

„მოფარიკავის ჩანაწერებიდან“ ეს ვრცელი ამონაწერიც იმად შემოგთავაზეთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადა გამორჩეულია ნუგზარ ასათიანის სპორტულ ბიოგრაფიაში და, ამდენად, ერთი ორად საინტერესოც, რაკილა ჩემპიონი საკუთარი თვალით დანახულ გადამწყვეტ ბრძოლაზე გვიამბობს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ამ ვრცელ ამონაწერში ნუგზარ ასათიანი ყველაზე ენაწყლიანად გვიამბობს თავის ერთ-ერთ გამარჯვებაზე, თუმცა, მკითხველი შეამჩნევდა, რომ მისი მონათხრობი საკუთარ როლზე მაინც ფრიად მოკრძალებულია. ჩემპიონი ავტობიოგრაფიულ წიგნში თბილად გვიამბობს თავის პედაგოგებზე, მწვრთნელებზე, მეტოქეებზე, მეგობრებზე, თანაგუნდელებზე... საკუთარი თავი კი დავიწყებია.

ვინც ნუგზარ ასათიანს პირადად იცნობდა, იტყვის, რომ იგი ასეთი იყო პირად ცხოვრებაშიც: ნათელი, ღიმილიანი, მოკრძალებული. ამიტომაც, მოდით, გავიხსენოთ ნუგზარ ასათიანის ის გამარჯვებები, რომლებმაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ის და საბჭოთა გუნდიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ქართველმა მოფარიკავემ მერვედფინალში იაპონელებთან შეხვედრაში მიცუხირო კიტაოს სძლია (3:1), მეოთხედფინალში ამერიკელებთან ბრძოლაში ალფონსო მორალესთან გაიმარჯვა (4:3), პოლონელებთან ნახევარფინალში კი თავად დამარცხდა ვოიცეხ ზაბლოცკისთან (0:1), მერე კი იყო იტალიელებთან გადამწყვეტი ბრძოლები და გამარჯვებები ჩეზარე სალვადორისთან (5:2), ჯამპაოლო კალანჩისთან (5:3), პერლუიჯი ჩიკასთან (5:1) და ერთადერთი მარცხი ვლადიმირო კალარეზესთან (1:5).

ნუგზარ ასათიანმა ტოკიომდე რომის ოლიმპიურ თამაშებზეც, აცადა ძალა, მაშინ, 1960 წელს, ქართველმა მოფარიკავემ პირად პირველობაში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ იმ დროს არც დიდი ბრძოლების გამოცდილება ჰქონდა და არც ოსტატობით შეედრებოდა უძლიერესებს. იმ ხანად ნუგზარ ასათიანი მოფარიკავეთა საერთაშორისო სამყაროში სრულიად უცნობი გახლდათ. მის მხრებს ერთადერთი საერთაშორისო ტურნირი „ამძიმებდა“. ის ის იყო ოლიმპოსაკენ მიმავალ გზას დასდგომოდა. ამ გზაზე პირველი წარმატება ის იყო რომ მან საბჭოთა ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. მოიპოვა მეტად დაძაბულ ბრძოლებში, ეს კი პირველი სერიოზული განაცხადი იყო.

რომში ნუგზარ ასათიანმა პირად პირველობაში მეთექვსმეტედფინალში სძლია ავსტრალიელ მაიკლ ზაიპელს (5:3), ესპანელ ჰაბლი ორდეხონს (5:0), მაროკოელ აბდარაჰმან ზუბტის (5:2) და დამარცხდა იტალიელ ვლადიმირო კალარეზესთან (2:5); მეოთხედფინალში გაიმარჯვა ფრანგ ჟაკ ლეფევრთან (5:2) ბრძოლაში, ხოლო პოლონელ ეჟი პავლოვსკისთან, დასავლეთგერმანელ იურგენ ტოიერვაიფთან და რუმინელ დემიტრუ მუსტაცესთან თავად დამარცხდა (შესაბამისად 0:5), 4:5, 3:5), მერე, მეოთხედფინალში ორი შეხვედრა მოიგო — უნგრელ ალდარ გერევიჩთან (6:3) და ფრანგ ჟაკ რულოსთან (5:4), დანარჩენი კი წააგო პოლონელ ვოიცეხ ზაბლოცკისთან (3:5), ურუგვაელ თეოდორო გოლიარდისთან (2:5) და დასავლეთ გერმანელ ვალტერ კოხტნერთან (3:5).

მარადიულ ქალაქში ნუგზარ ასათიანმა გუნდურ პირველობაშიც სცადა ძალა. მაშინ პირველ წრეში არგენტინელებთან შეხვედრაში დანიელ სანდეზე გაიმარჯვა (2:0), მერე კი ამერიკელებთან პაექრობაში მაიკლ დახაროსთან ბრძოლა ფრედ (2:2) დაასრულა. ფრედ დასრულდა საბჭოთა და ამერიკელთა გუნდური პირველობაც. მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებს მეტი ჩხვლეტა აღმოაჩნდა მიღებული და იგი ბრძოლას გამოეთიშა.

ასე დასრულდა ნუგზარ ასათიანისთვის რომის ოლიმპიური თამაშები. სამაგიეროდ, სწორედ იქ მარადიულ ქალაქში დაიბადა რეალურად ახალი ოცნებები, სურვილები და იმედები.

მომდევნო წლიდან სულ უფრო და უფრო ბასრი გახდა ნუგზარ ასათიანის ხმალი. იგი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე სულ მეტად ელვარებდა.

სწორედ რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი, მერე კი იყო ტოკიოს ოლიმპიადა, იქ გადახდენილი დიდი ბრძოლები, და დამაჯერებელი გამარჯვებებინუგზარ ასათიანის ამ ტრიუმფმა უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა ნაკრების აღზევებაში, რაც პირველი შემთხვევა იყო ხმლით მოფარიკავეთა ისტორიაში.

ნუგზარ ასათიანის ბიოგრაფიის მემატიანე, რომელიც მისი სპორტული მოღვაწეობის სფეროს შეეხება, ალბათ გულგრილად ვერ აუვლის გვერდს ერთ ეპიზოდს, რომელიც 1965 წელს გადახდა ჩემპიონს.

მაშინ ნუგზარ ასათიანი საქორწინო მოგზაურობაში იყო. ლენინგრადს მიემგზავრებოდა. სწორედ იმ დღეებში როსტოვში მოფარიკავეთა თასის გათამაშება მიმდინარეობდა.

— სხვა დროს იოლი არასოდეს ყოფილა საკავშირო თასის მოგება, მაშინ კი სრულიად მოუმზადებელი ვიყავი და ბუნებრივია, არც შეჯიბრებაში გამოსვლის განწყობილება მქონდა. როცა ლენინგრადისკენ მიმავალი მატარებელი როსტოვში გაჩერდა, გულმა აღარ მომითმინა, წავავლე ჩემს ცოლს ხელი და [illegible] საკენ გავაქანე, მაგრამ ამ ქალაქში შეჯიბრების საცქერლად კი არ შევჩერებულვარ — მოფარიკავის ტანსაცმელი გადავიცვი, ბრძოლაში ჩავები და თასიც მოვიპოვე, — ღიმილით მიამბო ნუგზარ ასათიანმა.

ნუგზარ ასათიანისათვის ასევე განსაკუთრებით ტკბილად მოსაგონარი იყო სარატოვში გამართულ შეჯიბრებებში გამოსვლა და ეს სრულიად ბუნებრივიც გახლდათ. პირველი დიდი გამარჯვება სწორედ აქ მოიპოვა, როცა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში ყველას აჯობა. მერე სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა, რისთვისაც საბჭოთა ნაკრებში მიიწვიეს, 1968 წელს კი საკავშირო თასიც იქ მოიპოვა და ასე ტრიუმფალურად გამოეთხოვა საფარიკაო ბილიკს, სადაც აღიარებული, სწორუპოვარი გუნდური მებრძოლის სახელი დატოვა.

ამბობენ, გუნდის ინტერესებისთვის ნუგზარ ასათიანი შეუძლებელს აღწევდაო.

ახლა, ნუგზარ ასათიანზე რომ ვწერთ, გვახსენდება 1977 წელი, სოფია, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა. მაშინ მოფარიკავეთა დარბაზში ყველაზე პოპულარული პიროვნებები იყვნენ ქართველი ნუგზარ ასათიანი და იტალიელი კაროლა მანჯაროტი. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა — იტალიელი, როგორც სპორტსმენი, შეჯიბრების რიგითი მონაწილე კი გახლდათ, მაგრამ სიმპათიური, ულამაზესი და უმშვენიერესი იყო. გასულ მსგავს ასპარეზობაში „მის უნივერსიადის“ ტიტულსაც ფლობდა. კაროლას პოპულარობას მის მართლაც მზეთუნახაობასთან ერთად ძალზე უწყობდა ხელს სახელოვანი მამისშვილობაც. მამამისი, ედუარდო ხომ 40-50-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი უბადლო მოფარიკავე გახლდათ, რომელსაც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობა უთვალავჯერ მოუპოვებია.

ნუგზარ ასათიანი კი თავად გახლდათ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც იმ პერიოდში „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს თავმჯდომარეობდა და სოფიაში გამართულ მოფარიკავეთა ბრძოლებს პროფესიული ინტერესით ადევნებდა თვალს.

ჰოდა, მოფარიკავეთა დარბაზის ამ ორ მშვენებასთან ხან ერთი გვთხოვდა სურათის გადაღებას, ხან მეორე. რა თქმა უნდა, სილამაზისა და სპორტის ამ ორ ვარსკვლავთან ჩვენც გადავიღეთ სამახსოვრო სურათი. ახლა ის ფოტო ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესია. რადგან ნუგზარ ასათიანი ჩვენს შორის აღარ არის. იგი 1982-ში გარდაიცვალა.

...იმ დღეს ნუგზარ ასათიანთან მისი მეგობრები, ძველი თანაგუნდელები და მწვრთნელები მივიდნენ. თხოვეს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მძიმე ბრძოლები გველის, შენი დახმარება გვჭირდება. შენი მკლავის ძალა, ცოდნა და გამოცდილება დიდ შეღავათს გაგვიწევსო. ნუგზარი უარზე იყო. მერე ერთხანს ჩაფიქრდა. კედელზე დაკიდებულ ხმალს თვალი შეავლო. ჟანგი მოდებოდა და დაბლაგვებული იყო, მაგრამ თანაგუნდელებს უჭირდათ. ბევრი ფიქრის დროც აღარ იყო და... სპარტაკიადაზე VI ადგილი დაიკავა. ფარიკაობის მოყვარულებმა მას შემდეგ უფრო დააფასეს ნუგზარ ასათიანი.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



# გიორგი კანდელაკი 11 ოქტომბერს პროფესიულ კრივზე გვეპატიჟება

## ოღონდ, ძალიან ვღელავ, შინ პირველად ვჩხუბობო

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ჩემი მეტოქე პროფესიულ რინგზე ოცი ბრძოლის მომგები ამერიკელი ზანგი სტივ არჩერი იყო. ჩხუბი ოთხრაუნდიანი უნდა ყოფილიყო. თუმცა ყველაფერი მეორე რაუნდის დასაწყისში ჩემი გამარჯვებით დასრულდა.

**— ეტყობა, თავიდანვე შეუტიე არჩერს.**

— აბა, რას დავლოდებოდი, მოგება მინდოდა და ხელებს ძირს ხომ არ ჩამოვუშვებდი? პირველ რაუნდში დიდი უპირატესობა მქონდა, მეორის დასაწყისში კი ამერიკელს ნოკდაუნი ვაგემე. მართლია, რვა წამში წამოდგა და ბრძოლაც გააგრძელა, მაგრამ კიდევ ერთ დარტყმას ველარ გაუძლო და რინგზე გაიშოტა.

**— ჩანს, ამ ბრძოლისთვის რიგიანად მოემზადე, წონაშიც საკმაოდ დაგიკლია. ორიოდ სიტყვა მატჩისწინა ციებ-ცხელებაზე და სავარჯიშო პირობებზეც გვითხარი.**

— 22 აგვისტოს ლას ვეგასში ჩავფრინდით. იქედან კი საკურორტო ქალაქ ბიგბიჩს მივაშურეთ, სადაც ჩემი მწვრთნელები, ბულგარელი მიხაილ ტაკოვი, ამერიკელი ფრენსისი და ბელგიელი ფილიპ ბრონჟუე დამხვდნენ. საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების მერე ვარჯიშსაც შევუდექი. ოთხი დღე მთებში მარბენინეს და, რომ იტყვიან, სიქა გამაცალეს, შემდეგ კი დარბაზშიც შევედი, ხელთათმანები ჩავიცვი და ათი ექვსრაუნდიანი საწვრთნელი ბრძოლაც გავმართე. იმავე დარბაზში ხორვატ ჟელკო მავროვიჩთან საკრივოდ ემზადებოდა ლენოქს ლუისი, რომლის რჩევები არჩერთან ბრძოლისას ძალიან გამომადგა. 20 სექტემბერს ნიუიორკის შტატის ქალაქ ჰარდფორდს ვეწვიეთ, სადაც ჩემი ქართველი მენეჯერი ნოდარ ექვთიმიშვილიც შემოგვიერთდა. ჰარდფორდში ერთი კვირა დავყავით და იქიდან ანკესვილში ჩავედით.

**— ამერიკაში რომ კრივი პოპულარულია ყველამ კარგად ვიცით. იქ გამარჯვებასაც მეტი ფასი აქვს...**


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ცოტაც და, გიორგი კანდელაკის ოსტატობას თბილისის სპორტის სასახლეშიც ვიხილავთ

— მართლაც საოცარია ამერიკის კრივის სამყარო. შეიძლება არ დამიჯეროთ და, ორ დღეში წამოჭიმეს ათიათასკაციანი საკრივო დარბაზი, ბრძოლების დღეს განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა. ბილეთების ფასი 200-დან 1000 დოლარამდე იყო. ამ სახელდახელოდ აგებული დარბაზის რინგზე რვა ჩხუბი გაიმართა, თავიდან მსუბუქი წონის მოკრივეებმა იასპარეზეს. რიგით მეშვიდე ბრძოლა ჩემი და არჩერისა იყო, რაც ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ, რადგან მერე რინგზე ლენოქს ლუისი გამოდიოდა. სწორედ ეს ორი შერკინება აჩვენეს სატელევიზიო არხებმა.

**— ლუისს ძალიან გასჭირვებია ხორვატის დამარცხება.**

— მავროვიჩი კერკეტი კაკალი გამოდგა, ლუისის უძლიერეს დარტყმებსაც გაუძლო, თუმცა სამივე რეფერიმ გამარჯვება ლენოქსს არგუნა.

საუბარში კანდელაკის მენეჯერი **ნოდარ ექვთიმიშვილი** ჩაგვერთო:

— ლენოქს ლუისი ახსენეთ და აქვე გეტყვით: ბრძოლის მერე, პრესკონფერენციაზე ლუისმა გიორგი კანდელაკი თავის მემკვიდრედ დაასახელა, უბერებელმა ჯორჯ ფორმენმაც ფრიად შეგვიქო გიორგი.

**— გიორგი, ორი ბრძოლა კი მოიგე, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება რეიტინგში ქულების დასაგროვებლად.**

— ძლიერთა კომპანიაში მოსახვედრად კიდევ ბევრი ბრძოლის გამართვა მომიწევს, ჯერ ევროპაში უნდა დავიგდო სახელი, ანუ საუკეთესო ათეულში შევიდე. მერე კი მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეებთანაც შეიძლება ძალების მოსინჯვა. ამ ორი ბრძოლის მოგებამ კი, როგორც ევროპულ, ასევე მსოფლიო რეიტინგში ჩასათვლელი ქულები მომიტანა.

**— მესამედ პროფესიულ რინგზე სულ მალე, 11 ოქტომბერს გიხილავთ, თანაც თბილისში. შინ ჩხუბი ერთი მხრივ ადვილიცაა და მეორე მხრივ რთულიც. ქართველი გულშემატკივარი მხოლოდ გამარჯვებას მოგთხოვს.**

— მეც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ, პირველად გამოვალ ქართველი მაყურებლის წინაშე და, მართალი გითხრათ, აქედანვე ვნერვიულობ, მაგრამ, მჯერა, ჩემს საქომაგოდ მოსულ გულშემატკივარს არ გავაწბილებ და პატარა სიხარულსაც ვაჩუქებ.

11 ოქტომბრის შეხვედრაზე ნოდარ ექვთიმიშვილსაც დავეკითხეთ.

— ძალიან გვინდოდა, გიორგის საქართველოში ეჩხუბა და ამას მივაღწიეთ კიდეც. მხარში ჩვენი იაპონელი მეგობრები ამოგვიდგნენ, რომლებიც თბილისში დიდ ტურნირს ატარებენ წესების გარეშე ბრძოლაში. ტურნირზე ჩვენებურები: ძმები ბიწაძეები, ტყეშელაშვილები და სხვა ქართველებიც გამოვლენ და ამ დღის დამაგვირგვინებელი გიორგი კანდელაკის კრივი იქნება. რაც შეეხება მის მეტოქეს, იგი ამერიკელია, 25 ბრძოლა ჩაუტარებია და მხოლოდ ორში დამარცხდა. თუმც შეიძლება 11 ოქტომბრამდე ყველაფერი შეიცვალოს და გიორგის სულ სხვა მოწინააღმდეგე შეხვდეს.

**— გიორგი, თბილისური ჩხუბისთვის ვარიანში მოემზადები?**

— ორ-სამ დღეს დავისვენებ და წვრთნასაც შევუდგები. ვარიანში ჩემი ბულგარელი დამრიგებელი ტარკოვი ჩამოვა და ოქტომბრისთვის ის მომამზადებს. 10-ში კი თბილისს მენეჯერი მელოუნი ეწვევა. მან უკვე მეოთხე ბრძოლაც გამიხერხა, რომელიც სავარაუდოდ ლონდონში 15 ნოემბერს გაიმართება.

**— ვარიანი ამდენი ხნით პირველად დატოვე. ამერიკაში სიქაც გაუცლიათ და გვარიანადაც გამხდარხარ. კი მაგრამ, სულ არაფერს გაჭმევდნენ მდიდარი ამერიკელები თუ ქართული კერძები მოისაკლისე?**

— ჩვენებურ კერძებს იქ ვინ მომიმზადებდა, მწვრთნელები და ექიმები კი გრამობით მკვებავდნენ. თუ გინდა, რიგიანად იჩხუბო და საკრივო ელიტაში მოხვდე, ასეც უნდა მოიქცე. ერთზე კი ვნანობდი ამერიკაში — ჩვენებური ტყემალი მაინც წამელო, კაცო!

ვარიანი კი ამდენი ხნით მართლაც არ დამიტოვებია და ძალიან მომენატრა იქაურობა. ახლა, თქვენთან საუბარს რომ მოვრჩები, სწორედ იქით გავემართები, ვიცი, ვარიანში ბევრი მელოდება.

**სოსო ქოტორეიშვილი**

# ბაგრატიონი ძალიან გაგვიბრაზეს

## უხეში, თანამდებობისთვის შეუფერებელი

## სად კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სად ბატონი მაკ გოვენი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ისინი ერთმანეთს არც კახეთში შეხვედრიან, არც სამეგრელოში, არც ავსტრალიაში. ისინი საერთოდ არ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ მათი გზები მოსკოვში, ავსტრალიის საელჩოში მაინც გადაკვეთილა.

ყველაფერი იმით დაწყებულა, რომ ავსტრალიაში დაუნიშნავთ მსოფლიოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში, რომელშიც ბედის ცდა განუზრახავს თბილისელ რუსუდან ხოფერიას, ვისაც ამ სახეობაში უმაღლესი მწვერვალები არაერთხელ დაულაშქრავს.

იმავე დღეებში, 9-11 სექტემბერს იქვე გა-


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ემზარ ზენაიშვილის პროტესტმა გაჭრა

ნუზრახავთ ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაციის სხდომის გამართვა, სადაც საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი ომარ ლონლაძეც მიუწვევიათ.

ჰოდა, ლონლაძის, ხოფერიასა და მისი მწვრთნელის ზაქარია სულაშვილის ვიზების გასაფორმებლად რუსეთში, ავსტრალიის საელჩოში სათანადოდ შევსებული განაცხადი და ყველა აუცილებელი საბუთი აფრინეს.

ამასთან, მოსკოვში ავსტრალიის საელჩოში შესაბამისი სახელობითი ვიზის დამადასტურებელი წერილი გაგზავნა სიდნეის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ქალბატონმა დაიანა ერიკსონმა.

მაგრამ მიგრაციის უფროსმა კოორდინატორმა მაკ გოვენმა, როგორც ჩვენში იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— ავსტრალიის საკონსულომ უარი განუცხადა ჩვენებს ვიზის მიცემაზე და განმარტებით წერილში საკმაოდ შეურაცხმყოფელი, უსაფუძვლო და უსამართლო მიზეზები ჩამოაყალიბა ამ უარის ასახსნელად, — გვითხრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა.

„გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ავსტრალიაში ხანმოკლე ვიზიტით მოგზაურთაგან ზოგიერთი სულაც არ აპირებს მართლაც ხანმოკლე ვიზიტს, არამედ ცდილობს ეს ვიზა გამოიყენოს მიგრაციის მოთხოვნილებათა თავიდან ასაცილებლად და განაცხადში მითითებულ პერიოდზე მეტხანს ჩვენს ქვეყანაში დასარჩენად სწავლის ან მუშაობის მიზნით“ — წერს ომარ ლონლაძეს მიგრაციის უფროსი კოორდინატორი.

კოორდინატორის სიფრთხილე კარგია და მისასალმებელი, მაგრამ რატომ არ სჯერა მას, ვთქვათ, რუსუდან ხოფერიას სპორტული კვალიფიკაციისა. ნუთუ რუსუდანს გოვენისათვის იმ საბუთებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატებში მოპოვებული სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი უნდა გაეგზავნა და ამისთვის დაერთო ევროპის ჩემპიონატებში დამსახურებული იგივე ხარისხოდენობის ჯილდოებიც?

ან რატომ ეეჭვება ბატონ მაკ გოვენს ჩვენი დელეგაციის წევრთა აღრინდელი ვიზიტებისა მრავალ ქვეყანაში? სამწუხაროდ: მას ვერ დაუნახავს ის, „რაც გაამართლებდა“ მათ „სამშობლოში დაბრუნების სურვილს“.

„ვიზებზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას ვითვალისწინებ თქვენს საცხოვრებელ რეგიონში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ეჭვს ბადებს თქვენს სამშობლოში დაბრუნებაზე“ — წერს მაკ გოვენი.

შეძლებული უცხო ქვეყნების წარმომადგენლები ცდილობენ, ნემსის ყუნწშიც ძვრებიან, ასეთი ტიტულოვანი სპორტსმენებისა და სპეციალისტების გადაბირებას, მათ ჩატყუებას, მაკ გოვენი კი...

„პრობლემის გადაჭრის მიზნით საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ბატონი ჯანო ბაგრატიონი ტელეფონით ესაუბრა ბატონ ლეონიდ ალტმანს, ვინც ასევე ავსტრალიის საელჩოს საემიგრაციო განყოფილების თანამშრომელია, მაგრამ მასთან საქმის გარკვევამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვიტოვა — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი — ამ წარმომადგენლის საუბრის ტონმა დამოუკიდებელი ქვეყნის ეოკ-ის პრეზიდენტთან ჩვენი დიდი გაოცება გამოიწვია. ეგ კი არა, მან ბაგრატიონს ისიც კი აკადრა, რა ვიცი, ვინა ხარ, რატომ უნდა დაგიჯეროთ, რომ საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ბრძანდებითო.

მოკლედ, გაჯიქდნენ საელჩოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ავსტრალიის საკონსულო შესაბამის პროცედურებს ანხორციელებს ვიზის რეგისტრაციისას, მაგრამ ამავე დროს აღშფოთებულნი ვართ მათ მიერ ვიზის გაცემაზე უარის თქმისას აღნიშნული ისეთი მიზეზებით, როგორიცაა, ვთქვათ, დელეგატების არასათანადო სპორტული კვალიფიკაცია, რაც სპორტის საკითხია და მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა-არმონაწილეობის პრობლემაც შესაბამისი სპორტის სახეობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ განისაზღვრება და არა საელჩოს მიერ, თუმცა ესეც უსაფუძვლო მოტივებაა.

საკონსულოს „არგუმენტები“, თითქოს ავსტრალიაში ჩვენი დელეგაციის ვიზიტი შესაძლოა არ იყოს ხანმოკლე და ეს მხოლოდ ვიზის გამოყენების ერთგვარი ხერხია ხანგრძლივი პერიოდით დასარჩენად, ასევე მეტად შეურაცხმყოფელია, რადგან ყველა ჩვენს დელეგატს თბილისში საკუთარი ოჯახი გააჩნია და მათი ავსტრალიაში მოგზაურობა საზღვარგარეთ პირველი გასვლა როდია.

იქიდან გამომდინარე, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად ავსტრალიაში მრავალი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება გაიმართება და საქართველოს დელეგაცია ვიზის ყოველი განაცხადისას ანალოგიურ სირთულეებს წააწყდება, ეს მეტად დიდ ზიანს მოუტანს ქართველ სპორტსმენთა მზადებისა და ვარჯიშის პროცესს. ეს ყოველი და სხვაც მრავალი ფაქსით ვაცნობეთ როგორც საელჩოს, ისე ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაციას, სიდნეიში ამ სახეობის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტსაც“ — გვითხრა ემზარ ზენაიშვილმა.

ზენაიშვილმა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსაც გაუგზავნა ფაქსი, რომელშიც ნათქვამია: „სინანულით უნდა გაცნობოთ, რომ ავსტრალიაში ჩემი დაგეგმილი ვიზიტი შესაძლოა ჩაიშალოს ჩვენს მიერ გამოთქმული პროტესტის გამო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსკოვში ავსტრალიის საელჩოს უარს ვიზების თაობაზე საქართველოს დელეგაციისადმი, რომელსაც განზრახული აქვს ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა და ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესში მონაწილეობა. მიგვაჩნია, ეს ფაქტი გაუგებარია და შეუსაბამო იმ მოვალეობებთან, რომლებიც სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაცო კომიტეტმა იკისრა ავსტრალიის მთავრობის გარანტიით მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის წინაშე...“

რაც შეეხება თვითონ ემზარ ზენაიშვილის ვიზიტს ავსტრალიაში, მას საბუთები კარგა ხნის მოგვარებული აქვს, თვითმფრინავის ბილეთიც ჯიბეში უდევს, რათა სიდნეიში დაადგინოს და გაარკვიოს ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ჟურნალისტთა და საქართველოს ეოკ-ის სტუმართა ყოფა-ცხოვრების პირობები, „ქართული სახლისთვის“ ნაგებობის გამოყოფის პრობლემა და სხვა მრავალი საკითხი, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი გამგზავრებაც საეჭვო გამხდარა პროტესტის გამო.

ამ საპროტესტო წერილების მერე ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაციიდან საქართველოში მოვიდა შეტყობინება, რომელიც გვამცნობს, ავსტრალიის საელჩოს შესაბამისი სამსახურის გადაწყვეტილება უსაფუძვლო და მცდარიაო. მას თავის მხრივ პროტესტი გაუგზავნია მოსკოვში ავსტრალიის საელჩოში და შეტყობინებაც ავსტრალიაში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სახელზეც.

ფედერაცია თურმე ავსტრალიის საელჩოს იმასაც უდასტურებს, რომ რუსუდან ხოფერია მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია და სიდნეიში ოლიმპიურ მედალსაც ვუწინასწარმეტყველებთო.

გუშინვე მოვიდა ფაქსი სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ეოკ-ებთან ურთიერთობის სამსახურიდან. ისინი ჩვენს მხარეს აღუთქვამენ მხარდაჭერას და მიაჩნიათ, რომ ავსტრალიის საელჩოს მოტივირება „უაზროა და არასწორი“.

ისინი იქვე აღნიშნავენ, რომ ორიოდე კვირის წინ თურმე მათ სტუმრობდა რუსეთში ავსტრალიის ელჩი, რომელმაც აღგვითქვა ყველანაირი დახმარება ამგვარი საკითხების მოგვარებაშიო.

**ავთანდილ გურასაშვილი**


ბადრი ქეთილაძის ფოტო

რას ერჩოდნენ ავსტრალიელები რუსუდან ხოფერიას?

P.S. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გვაცნობეს გუშინ თავად მაკ გოვენის გამოგზავნილი ფაქსის შინაარსიც. იგი ბოდიშს იხდის გაუგებრობებისთვის და ვიზების დროულ გაფორმებას გვპირდება...

ქატო იქა, ფქვილი აქა, — ასე გასრულდა ეს სკანდალური ამბავი, რომელმაც შეძრა მთელი მსოფლიო თუ არა, რამდენიმე დიდი საერთაშორისო და ავტორიტეტული ორგანიზაცია მაინც.

მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ მოსკოვში საქართველოს საკონსულომ ამ საქმეში პრაქტიკულად მხოლოდ ფოსტალიონის როლი შეასრულა, ხელები დაიბანა და ჩვენს მხარესთან ხელებიც გაშალა, რა ვქნათ, ავსტრალიის საელჩომ უარი შემოგვითვალათო.

CARTU & TBILISI LADIES OPEN

# თბილისში ძერა ქალები უყვართ



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ელენა დემენტიევა

ორ დღედ გაწელილი საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ გუშინ დილით ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე Cartu & Tbilisi Ladies Open-ის, თბილისის ქალთა ღია პირველობის ძირითადი ბადის მატჩებიც დაიწყო.

რვა უმაღლესი კლასიფიკაციის მქონე ჩოგბურთელიდან სამშაბათს მხოლოდ ორმა იასპარეზა და ორივემ წააგო. მაგრამ თუ მეშვიდედ განთესილი გერმანელი მაიკე ფროელიპის მარცხმა ჩეხ მილენა ნეკვაპილოვასთან — 6:3, 5:7, 2:6 ბევრი არავინ დაამწუხრა, 17 წლის ელენა დემენტიევას (6) ნაადრევად აბარგებამ ყველას გული დასწყვიტა.

მოსკოვის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი რუსი პირველ წრეში ბელარუს ნადეჟდა ოსტროვსკაიას ხვდებოდა და ეს მატჩი ტურნირის პირველ დღეს აშკარად საუკეთესო იყო. დემენტიევა გარეგნობით ანა კურნიკოვასა და მარი პირსის ჯილაგისა გახლავთ, ამიტომ ტანმაღალ, გამხდარ და ქერა ჩოგბურთელს, რომელმაც თბილისელ მაყურებელს შარშანაც დაამახსოვრა თავი, ტრიბუნების საკმაოდ ტენდენციური მხარდაჭერაც გარანტირებული ჰქონდა.

პირველი სეტის წაგების შემდეგ დემენტიევამ უპირატესობა კარგა ხნით ჩაიგდო ხელში, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე გადამწყვეტ პარტიაში 5:1 დაწინაურდა და გამარჯვებასაც თითქოს აღარაფერი უკლდა, მაგრამ ნაადრევად მოეშვა. ოსტროვსკაიამ ანგარიში თანდათან შეამცირა, ამით განერვიულებულმა რუსმა კი შეცდომებს უმატა, ხელსაყრელი პოზიციიდან ერთი ორჯერ ბურთი ბადეს ვერ გადააცდინა, ერთი ორჯერაც აუტში გაგზავნა და მალე 5:5-იც გახდა.

საბოლოოდ გამარჯვებულის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ბელარუსის სტაბილურმა თამაშმა ისევ რუსის რისკიანზე უკეთესი შედეგი გამოიღო — მატჩ-პოინტზე მეტოქეებმა შემოკლებულები გაცვალეს და ბადესთან ოსტროვსკაიას ეფექტური დარტყმული აუღებელი გამოდგა — 6:3, 2:6, 7:6 (7:3) მის სასარგებლოდ.

როგორც გაუწყეთ, ტურნირზე სულ სამი ქართველი მონაწილეობს და კენჭისყრამ ისე ინება, ორი მათგანი, მაკა ჩახნაშვილი და ეკა ჟვანია პირველივე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე ჩოგბურთელი დასაწყისში ძალიან ნერვიულობდა, რაც დიდი რაოდენობით ორმაგ თუ უნებლიე შეცდომებშიც გამოიხატა, მაგრამ პირველი სეტი სანახევროდ რომ გაილია, ჩახნაშვილი დაწინაურდა და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია 6:3, 6:2.

პირველი წრის სხვა შეხვედრები კი ასე დასრულდა:

**მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) — გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) 3:6, 7:6 (7:1), 7:6 (7:3); ტატიანა პოუჩეკი (ბელარუსი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 1:6, 6:4, 6:3; მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) — ელენა კრუტკო (ლატვია) 6:3, 6:4; ჰანა სრომოვა (ჩეხეთი) — ელენა ვოროპაევა (რუსეთი) 6:4, 6:2.**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

# ფინალი — ტრადიცია

ტოკიო. იაპონია. პრინცესას თასი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 450 ათასი $

**მეოთხედფინალი: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (1, ესპანეთი) — ანა კურნიკოვა (5, რუსეთი) 6:3, 6:2; მონიკა სელეში (2, აშშ) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:3; ანკე ჰუბერი (7, გერმანია) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:3, 6:1.**

„პრინცესას თასი" მსოფლიოს ყველაზე უიღბლო ტურნირია. აგერ უკვე ლამის მეათე იუბილეს იზეიმებს და ჯერ ერთი წელიც არ გასულა ისე, ცუნამი თუ არა, რაიმე მცირე ტაიფუნი ან ქარიშხალი მაინც არ დაატყდეს თავზე.

პარასკევს კვირის განმავლობაში პირველად წვიმამ რომ გადაიღო, კორტს მოძრავი სახურავი გადახადეს თავზე, თუმცა ახლა ტრიბუნებზე შეყუჟული მაყურებელი თუ ჩოგბურთელები კინაღამ ქარმა წაიღო, ამის გამო მატჩებიც უინტერესო გამოდგა, თან საათზე მეტხანს არც ერთი გაგრძელებულა.

მეოთხედფინალების „ცენტრალურ" შეხვედრაში კი ფედერაციის თასის ტრიუმფატორმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ მოულოდნელად, ძალიან იოლად აჯობა რუს ანა კურნიკოვას, მასთან სამმა მარცხმა ჭკუა მასწავლა, თანაც ქარი შესანიშნავად გამოიყენეო.

**ნახევარფინალი: სანჩეს-ვიკარიო — ჰუბერი 6:1, 3:6, 6:3; სელეში — ტანასუგარნი 6:1, 6:4.**

თუ მონიკა სელეშმა ტურნირზე უკანასკნელი შემორჩენილი აზიელი ტანასუგარნი უპრობლემოდ დაამარცხა, პირველად განთესილ სანჩეს-ვიკარიოს ნახევარფინალში ძალიან გაუჭირდა. ერთ დროს შტეფი გრაფის მემკვიდრედ შერაცხულმა ანკე ჰუბერმა, რომელსაც თავისი სახელოვანი თანამემამულის მსგავსად ტრავმის გამო წლეულს თითქმის ექვსი თვე გაუცდა, ესპანელს არაფერი დაუთმო და პირველი ხელის ჩაფლავების მიუხედავად ანგარიშიც გაუთანაბრა.

მეორე სეტის შემდეგ სანჩეს-ვიკარიომ მტკივანი მკლავის საწამლოდ ტაიმ-აუტი ითხოვა: „მე მგონი, წლეულს ტურნირზე ძალიან მძიმე ბურთებს იყენებენ, ამიტომ კვირის განმავლობაში მკლავი სულ უფრო ცუდად მქონდა." თუმცა უკან დაბრუნების შემდეგ ქალთა ჩოგბურთის ყველაზე დიდმა მებრძოლმა ჰუბერის წინააღმდეგობა მაინც დაძლია.

**ფინალი: სელეში — სანჩეს-ვიკარიო 4:6, 6:3, 6:4.**

იაპონელებს ამ დუეტის ხილვა ფინალში ლამის ტრადიციად ექცათ: სელეში და სანჩეს-ვიკარიო „პრინცესას თასის" მოსაპოვებლად გადამწყვეტ მატჩში ზედიზედ მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერჯერობით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნების ამ პაექრობაში, ისევე როგორც საერთოდ პირად შეხვედრებში, მნიშვნელოვანი უპირატესობა სელეშის ანგარიშზეა — კვირის მატჩის ჩათვლით იგი 17:3-ს იგებს.

შარშანდელი ფინალისგან განსხვავებით, გამარჯვებული ამჯერად მესამე სეტის ტაი-ბრეიკს აღარ გამოუვლენია, თუმცა მატჩი ისედაც მეტად დაძაბულად წარიმართა — მუდმივად უკან მყოფი სანჩეს-ვიკარიო მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და მუდმივად ათანაბრებდა ანგარიშს.

„შეხვედრამ საშინლად დამქანცა. დღეს, უბრალოდ, გამიმართლა, ერთი-ორი ბურთის აცილება და შეიძლება წამეგო კიდეც" — განაცხადა მატჩის შემდეგ სელეშმა, რომელმაც კარიერის 43-ე ტიტულთან ერთად 79 000 დოლარიც მიითვალა.

პრესკონფერენციაზე მონიკასადმი კითხვები ძირითადად კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაბრუნებას ეხებოდა: „მძიმე შრომისა და მსხვერპლის გაღების შემთხვევაში ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ საქმე ის არის, თავად



REUTERS

მონიკა სელეში

მინდა თუ არა, ჩოგბურთს ყველაფერი შევწირო. იმ ორწლინახევრის განმავლობაში, რაც დიდ სპორტს ჩამოშორებული ვიყავი (მონიკა შტეფი გრაფის შერეკილმა თაყვანისმცემელმა დანით დაჭრა), სტაბილურად თამაშისა და ფიზიკური ფორმის პრობლემები გამიჩნდა".

სელეშმა სანჩეს-ვიკარიო წყვილების ფინალშიც გააწბილა. ანა კურნიკოვასთან ერთად მან მერი ჯო ფერნანდესთან შეწყვილებულ ესპანელს 6:4, 6:4 მოუგო. 17 წლის რუსისთვის ეს პროფესიული კარიერის პირველი ტიტული გამოდგა: „გამარჯვებული გახდე, შესანიშნავია, მით უმეტეს, მონიკასთან ერთად".

**ავთანდილ სვანიძე**

## ფეხბურთი

### ესპანეთი

მეორე დივიზიონი

**მე-4 ტური. მალიორკა B — სპორტინგი 2:0**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი

**მე-11 ტური. ბოლტონი — სვინდონი 2:1; რედფორდი — პორტ ვეილი 4:0; ბრისტოლი — ბარნსლი 1:1; გრიმსბი — ქრიუ 1:1; ნორვიჩი — სანდერლენდი 2:2; ოქსფორდი — ვესტ ბრომვიჩი 3:0; პორტსმუთი — ბირმინგემი 0:1; სტოკპორტი — ჰადერსფილდი 1:1; ტრანმერი — იფსვიჩი 0:2; უოტფორდი — შეფილდ იუნაიტედი 1:1; ვულვერჰემპტონი — ქუინზ პარკი 1:2**

## კალათბურთი

# ბეჟანიშვილი და კილაძე ურალელები გახდნენ

ამას წინათ გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოს" კალათბურთელები — ვლადიმერ ბეჟანიშვილი და ვალერი კილაძე გასინჯვაზე იმყოფებოდნენ რუსეთში, პერმის „ურალ-გრეიტში", რომელიც სუპერლიგის აღმოსავლეთ დივიზიონში ასპარეზობს. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ გუნდის ხელმძღვანელობას ჩვენებურები მოსწონებია და დარჩენაც შეუთავაზებიათ.

ეგ კი არა, თბილისს ფაქსიც აფრინეს: — ვაკო და კილა უახლოესი თამაშებისთვის ძალიან გვჭირდება და „დინამოდან" განთავისუფლების ფურცელი გვაახლეთო.

ჰოდა, გუშინ ფედერაციამ საპასუხო ფაქსი მიწერა რუსეთის მხარეს:

ეს კალათბურთელები „დინამოდან" თავისუფალნი არიან, არანაირი კონტრაქტი ამ კლუბთან აღარ აკავშირებთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო.

ისიც გავიგეთ, რომ ბიჭები პერმში კარგად მოწყობილან, კლუბს ბინაც მიუცია და თავსაც მშვენივრად გრძნობენ.

ახლა ყველაფერი მათზეა დამოკიდებული, იმედია, რომ ბეჟანიშვილი და კილაძე რუსულ სუპერლიგაშიც გაითქვამენ სახელს.

**ზურაბ გონაშვილი**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




ევროთასი. II ტური

# პატარა მოულოდნელობანი

ამ უქმეებზე რაგბში ევროპის თასზე მეორე ტურის მატჩები გაიმართა. პირველი ტურისგან განსხვავებით, რომელიც ფრანგთა გუნდების აშკარა უპირატესობით წარიმართა, ამ ტურში მათ საკმაო სიძნელეები შეხვდათ. „კოლომიეს" მარცხი „პონტიპრიდთან" სავსებით ლოგიკური ჩანს (სხვათა შორის, შარშან ამავე მოედანზე ფრანგული გრანდი „ბრივიც" დამარცხდა). „ბეგლ-ბორდო" კი კვლავ აგრძელებს თავისი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი თამაშის ჩვენებას. აკვიტანიელები ამჯერად უელსურმა „ლიანელმა" იმსხვერპლა.

A ჯგუფში თუ „სტად ფრანსეს" გასვლაზე ორი მოგების შემდეგ პირველობას ველარავინ შეეცილება, მეორე ადგილისთვის, ალბათ, საკმაო ბრძოლა გაიმართება. „ბეგლა" უსუსური თამაშით ან „ლენსტერი" ისარგებლებს და ან „ლიანელი". B ჯგუფში თითქმის ყველაფერი გარკვეულია და „პერპინიანი" და „მანსტერი" ალბათ, მეოთხედფინალს დაუბრკოლებლად მიაღწევენ. C ჯგუფში „ტულუზი" ხელშეუხებელი ჩანს, მეორე ადგილისკენ კი „ედინბურგმა" „იებ ვეილის" დამარცხებით, საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა. D ჯგუფში მშვენიერი სტარტი აიღო „პონტიპრიდმა", ხოლო „კოლომიესა" და „ტრევიზოს" შორის, მიუხედავად იტალიელთა საკმაოდ დამაჯერებელი თამაშისა, უპირატესობა მაინც ფრანგთა მხარესაა, რადგან პირველ ტურში მათ სტუმრად იმარჯვეს აპენინის ნახევარკუნძულზე. „გლაზგო" კი უკვე ჩაიძირა.

მესამე ტური ორ კვირაში გაიმართება. ყველაზე საინტერესო თამაშები, ალბათ, „პერპინიანი" — „მანსტერი" და „პონტიპრიდი" — „ტრევიზო" იქნება. პირველ მატჩში თუ ჯგუფის ლიდერია გასარკვევი, მეორეში იტალიელებისგან ყველა სიურპრიზს ელის. მანამდე კი ვეცდებით, ამ შეჯიბრში მონაწილე ყველა გუნდი უფრო ახლოს გავაცნოთ რაგბის ქართველ მოყვარულებს.

**გაიოზ თალაკვაძე**

**A ჯგუფი**

ლიანელი (უელსი) 22:10 ბეგლ-ბორდო (საფრანგეთი)
ლენსტერი (ირლანდია) 17:28 სტად ფრანსე (საფრანგეთი)

**B ჯგუფი**

პერპინიანი (საფრანგეთი) 67:8 პადოვა (იტალია)
მანსტერი (ირლანდია) 34:10 ნითი (უელსი)

**C ჯგუფი**

ედინბურგი რეიერსი (შოტლანდია) 41:17 ებ ვეილი (უელსი)
ტულუზი (საფრანგეთი) 39:3 ოლსტერი (ირლანდია)

**D ჯგუფი**

პონტიპრიდი (უელსი) 32:27 კოლომიე (საფრანგეთი)
ტრევიზო (იტალია) 34:15 გლაზგო კალედონიანსი (შოტლანდია)

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 2 | 2 | 0 | 0 | 67:45 | 4 |
| ლიანელი | 2 | 1 | 0 | 1 | 49:43 | 2 |
| ლენსტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 50:55 | 2 |
| ბეგლ-ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 38:61 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერპინიანი | 2 | 2 | 0 | 0 | 118:41 | 4 |
| მანსტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 54:23 | 4 |
| ნითი | 2 | 0 | 0 | 2 | 43:85 | 0 |
| პადოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 21:87 | 0 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 2 | 2 | 0 | 0 | 147:19 | 4 |
| ედინბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 79:55 | 3 |
| ოლსტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 41:77 | 1 |
| ებ ვეილი | 2 | 0 | 0 | 2 | 33:149 | 0 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პონტიპრიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 73:50 | 4 |
| ტრევიზო | 2 | 1 | 0 | 1 | 53:37 | 2 |
| კოლომიე | 2 | 1 | 0 | 1 | 49:51 | 2 |
| გლაზგო | 2 | 0 | 0 | 2 | 38:75 | 0 |